ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 26 აპრილი 2002 №74 (1596) | ფასი 50 თეთრი


3 ჟვანია კავკასიის მთების შვილია



მშვიდ კოპენჰაგენს მშფოთვარე თერგი ურჩევნია

3 ახალგაზრდა ქართველი რეინჯერსში

რევაზ არველაძე: ვიცი, მაგრამ არ გეტყვით

8 ბარსელონა VS რეალი




სუპერკლასიკო წერა-კითხვით გაგრძელდა

8 შავდურ თეთრძმური

სქესთა უსქესო ომი ჩაიშალა

# სამა ლალისთან ვერ მივიდა

## შენ ერთადერთი...



## ლენარტ იუჰანსონი პრეზიდენტია: ყველა ხმით და უხმაუროდ

ჭარმაგი შვედი, ლენარტ იუჰანსონი გუშინ ევროპის ფეხბურთის საჭესთან კიდევ 4 წლით დატოვეს. ამ ამბავს ბეჭედი იმთავითვე ესვა, რადგან გუშინ სტოკჰოლმში გამართულ უეფას კონგრესზე იუჰანსონი ერთადერთი კანდიდატი იყო, ვისთვისაც ხმის მიცემა შეიძლებოდა. ევროფეხბურთის თავკაცებმაც შვედის მხარში დგომა უყოყმანოდ გამოხატეს, წინააღმდეგი არ ყოფილა, თავი არავის შეუკავებია. იუჰანსონი ავტომატურად ფიფა-ს ვიცე-პრეზიდენტიც გახდა და ფეხბურთის მსოფლიო ფედერაციის მოახლოებული საპრეზიდენტო არჩევნების დროს იოზეფ ბლატერის კარგა შელახული შანსების აღორძინებაზე როდი იზრუნებს: წინა არჩევნებზე ისინი „მოსისხლე" კონკურენტები იყვნენ, ახლა კი იუჰანსონი ბლატერის აფრიკელ მეტოქეს ისა ჰაიატუს უჭერს მხარს.

უეფა-ს აღმასრულებელი კომიტეტიც დაამტკიცეს, რომლის შემადგენლობაში პირველად მოხვდა უდიდესი ფრანგი ფეხბურთელი მიშელ პლატინი. იქვეა რუსი ვიაჩესლავ კოლოსკოვიც.

კონგრესის ფინიში ტრადიციულად საზეიმო იყო: უეფამ რამდენიმე ღირსეული პერსონა ევროპული ფეხბურთის წინსვლაში ლომის წილისთვის ლალის ორდენებით დააჯილდოვა. ღირსეულთა სიაში მოხვდნენ ფეხბურთის გრანდები: ფრანც ბეკენბაუერი, რინუს მიხელსი, ვალერი ლობანოვსკი, ერნი უოლკერი და ალექსანდრე ჩივაძე, ოღონდ ბატონი ალექსანდრე დაჯილდოების ცერემონიალზე უქეიფობის გამო ვერ გაემგზავრა და მაღალ ჯილდოს, სავარაუდოდ, სეულში, მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე გასამართ ფიფას კონგრესზე ჩაიბარებს.



მიშელ პლატინი ლენარტ იუჰანსონის აღმასკომის წევრია

# ზეგ გერმანიაა!

## ჭორჭიკაშვილმა ნარჩევი დანიაში დააბინავა



წუხელ, თბილისი რომ მიწისძვრამ შეაზანზარა, საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები დანიას უახლოვდებოდა. კობა ჭორჭიკაშვილმა ნაყოფიერად ავარჯიშა თავისი ყმაწვილები ესპანეთისა და გერმანიის მინდვრებზე და შეარჩია კიდეც ის ფეხბურთელები, ვისაც ევროპის 17-წლამდელთა ჩემპიონატზე ათამაშებს. ქართველები დღეს სლაგელსში ივარჯიშებენ, პირველი ბრძოლა კი ზეგ ელით უტეხ გერმანელებთან. მათ გარდა, ჩვენებს პოლონეთთან და უნგრეთთან თამაშიც მოუწევთ.

**ქართველი 17-წლამდელები ევროპის ჩემპიონატზე**

ზვიად ჩალაძე, ზურაბ კვახაძე, კახა ჯინჭარაძე, აკაკი ხუბუტია, გიორგი ჭელიძე, შოთა ჭელიძე, ლაშა ჭელიძე, გიორგი კუტივაძე, გივი კაპანაძე, სანდრო იაშვილი, ამირან ყველაშვილი, ზურაბ ბარაბაძე, ანზორ კალაძე, ვასილ ლუჭაშვილი, ბესიკ მიქაშვილი, ზაალ ელიავა, გოგი ფიფია, ალექსანდრე გურული

# ახალგაზრდა ვეტერანი გვიმტკიცებს

## გვექნება ფეხბურთი და სიხარული

...მშვიდი და გაწონასწორებულია, მუდამ სერიოზული გამომეტყველებით დადის და ვეტერანის იერი გადაჰკრავს. საფეხბურთო სტაჟის მიხედვით, თითქოს ვეტერანობამდე არც არაფერი აკლია, მაგრამ ჯერ 24 წლისაა.

სერგო ჭურაძე თხუთმეტისაც არ იყო, საქართველოს მეორე ლიგაში რომ გამოჩნდა. სპეციალისტებიც მაშინვე ალაპარაკდნენ ნიჭიერ მეკარეზე. ერთ-ერთი პირველთაგანია სათამაშოდ უცხოეთს რომ მიაშურა და ბულგარულ ჩემპიონატში კარგა ხანსაც იბურთავა.

ახალგაზრდული გუნდის ყოფილი მეკარე დღეს „ვიტ ჯორჯიას" კარის დარაჯია. როგორც თანაგუნდელები და მწვრთნელები ამბობენ, თურმე სერგო ბოლო დროს ძალიან მონდომებულია და ჭკიანად ვარჯიშობს. ეტყობა კიდეც, ჭურაძისთვის გოლის გატანა ერთობ გაძნელდა.

ქუთაისში, სათასო ნახევარფინალში, „ტორპედომ" „ვიტ ჯორჯიას" კართან არაერთი საგოლე მომენტი შექმნა, მაგრამ რიონისპირელებმა ერთის გატანაღა მოახერხეს. მატჩის საუკეთესო მოთამაშედაც ჭურაძე აღიარეს.

გადამღლელი თამაშის მეორე დღეს ვიტელთა გოლკიპერს არ დაუსვენია, იპოდრომზე იდინა ოფლი, გუშინ ატალახებულ „არმაზზე" გაავალა სიქა მწვრთნელმა ვეფხია გვენცაძემ და ჩვენი საუბარიც ნავარჯიშევს შედგა. ჭურაძემ წარსულზე, აწმყოსა და მომავალზეც ისაუბრა...



— ძალიან ადრე დავიწყე თამაში და ამ ხნის მანძილზე რამდენჯერმე გავედი „პენსიაზე". თუმცა უფეხბურთოდ დიდხანს ვერ ვძლებდი და დღესაც ვთამაშობ.

**— თუ გახსოვს, ფეხბურთიდან ბოლოს როდის „წახვედი"?**

— ორი წლის წინ, გერმანიაში შეკრებაზე მენისკი დავიზიანე და ჯვარედინი იოგებიც დამეჭიმა. ექიმის რჩევას ყური არ დავუგდე, დასვენებისა და მკურნალობის ნაცვლად დატვირთვებს მივეძალე და საოპერაციოც შევიქენი. ერთი სრული სეზონი იმ ტრავმამ დამაკარგინა. სარეაბილიტაციო პერიოდი ისე გაიწელა, რომ ფეხბურთის თამაში კი არა, ტელევიზორში ცქერაც არ მსურდა. მერე სტრესმა გადაიარა და უკვე ფორმაში ვარ.

**— აშკარად გეტყობა. სამშაბათს 6 ათასამდე ქუთაისელი და „ტორპედოს" სტუმრები შენს დამაჯერებელ და უშეცდომო თამაშს აღტაცებაში მოჰყავდა...**

— არაფერი განსაკუთრებული არ ჩამიდენია. მეკარევალდებულია, თამაშის დროს გუნდი რამდენჯერმე გადაარჩინოს. მთელმა „ვიტ ჯორჯიამ" თავდადებით ითამაშა. ბიჭებმა თავდაუზოგავად იბრძოლეს და შანსიც გვქონდა, ქუთაისში არ წაგვეგო. თუმცა სამართლიანობა მოითხოვს, აღვნიშნო, რომ „ტორპედო" ჩვენზე ძლიერი გუნდია და 90 წუთის მანძილზე მასპინძლები გვიტევდნენ.

**— ჭურაძის ჩინებული თამაში „ეროვნულზე", ინტერტოტოს გათამაშებაში, ავსტრიულ „რიდთანაც" ახსოვთ ქომაგებს. იქაც მთელმა გუნდმა ითამაშა კარგად?**

— რა თქმა უნდა. ჩვენ განსაკუთრებით საპასუხო შეხვედრის ბოლო 20-25 წუთი გაგვიჭირდა. ავსტრიელები 2:1 გვიგებდნენ და უკანმოუხედავად გვიტევდნენ, მაგრამ მალევე მივხვდი, რომ მეტს ვერ გაგვიტანდნენ. „რიდის" ერთ-ერთმა ფორვარდმა ნახევარი „ვიტ ჯორჯია" მოატყუა, მეც ხელ მიმაყოლა და ცარიელ კარში ვერ გაიტანა, ბურთი ძელს მოარტყა. ასეთი მომენტის გაფუჭების შემდეგ მეტოქე საბოლოოდ გატყდა.

**— ბულგარული კარიერის შესახებ თითქმის არაფერია ცნობილი, არადა, მეკარედ თითქოს იქ ჩამოყალიბდი...**

— თავიდან სოფიის „ლოკომოტივში" ჩავირიცხე, მაგრამ მხოლოდ ვარჯიშით გავლილი ფონს. თამაშის საშუალება სულ ორჯერ, ისიც ამხანაგურ მატჩში მქონდა. მომდევნო სეზონისთვის კლუბმა ქვედა დივიზიონში გამანათხოვრა. სტარაზაგორის „ბეროე" უძლიერესთა რიგებში ალსაზევებლად იბრძოდა. „ბეროე" ვერ დაწინაურდა, თითქმის სეზონნახევარი ვითამაშე, მერე ფინანსური მდგომარეობა აირია, სხვაგან გადასვლის შანსიც არ იყო და საქართველოში დავბრუნდი.

**— თავს ჩამოყალიბებულ მეკარედ მიიჩნევ?**

— საქართველოს ჩემპიონატისთვის კი. აქ მეტს ვერ მოვუმატებ. სრულყოფილ მეკარედ რომ ჩამოყალიბდე, რომელიმე დალაგებული ქვეყნის საშუალო დონის კლუბში მაინც უნდა ითამაშო.

**— რაზე ფიქრობ კარში ჩადგომისას?**

— თითქმის არაფერზე. მაქსიმალურ კონცენტრირებას ვცდილობ. მერე თამაშში რომ ჩავერთვები, ფიქრის დროც არ არის, ყველაფერს ინსტინქტურად ვაკეთებ.

**— ეროვნულ ჩემპიონატში რამდენიმე მეკარე ხართ, ხაზზე თამაში რომ გეხერხებათ. გამოსვლები კი თითოეულის აქილევსის ქუსლია. იქნებ პრობლემის შენეული არსი გვითხრა?**

— ისევ ჩემპიონატის დაბალ დონეს მივალგებით. აქ ხაზზე თამაშითაც ვახერხებთ ფონს გასვლას. თანაც ფაქტობრივად არც საჯარიმოში აწვდიან ხშირ-ხშირად. ჩემი აზრით, პრობლემის თავიდათავი თანამედროვე ქართული სამეკარეო სკოლის სისუსტეშია. თითებზე დასათვლელია მეკარის მწვრთნელები. არ არის სპეციფიკური ვარჯიშები და, წარმოიდგინეთ, არც პირობები.

**— არ ყოფილა მაშინ საშველი და არც ერთი თქვენგანისა არ უნდა გვეიმედებოდეს...**

— არც მთლად მასეა. თამაში ყველას არა, მაგრამ მაინც შეგვიძლია. მთავარია, მხარდაჭერა, ნდობა და სითამამე. მეკარეს იმედი არ უნდა ჩავუკლათ და სათამაშო პრაქტიკა მივცეთ.

**— დაგვიხასიათე საკუთარი თავი...**

— როგორი მეკარე ვარ, ამას სპეციალისტები უკეთ მოგახსენებენ. ფეხბურთის გარეთ კი ჩვეულებრივი, სხვებისგან არაფრით გამორჩეული ახალგაზრდა ვარ. თავისუფალ დროს ძირითადად მეგობრებთან ვატარებ, რა თქმა უნდა, თუ დიდი ფეხბურთი არ არის და „რეალი" არ თამაშობს.

**— თუ „რეალი" თამაშობს...**

— მაშინ ირგვლივ ვერაფერს ვამჩნევ... აი, ნახავთ ჩემპიონთა თასს მადრიდში ჩაიტანენ.

**— „რეალის" „ფანს", ალბათ, მეკარე სესარის თამაშიც მოგწონს?**

— კარგი მეკარეა. ისე, პრინციპში, სესარიც და კასილასიც თანაბარი დონისანი არიან. თავდაჯერებულები, საიმედოები... მაგრამ მე მაინც ოლივერ კანი ყველას მირჩევნია. ის ხომ ნახევარ გუნდზე მეტს ნიშნავს „ბაიერნისთვის".

**— სამომავლო გეგმებს არ გაგვანდობ?**

— სიამოვნებით, მაგრამ თავადაც არ ვიცი, რა იქნება. არ დავმალავ, უცხოეთში მსურს კარიერის გაგრძელება, თუმცა კონკრეტული ჯერ არაფერია.

**— რა არის სერგო ჭურაძის ყველაზე დიდი ოცნება?**

— ნაკრებში თამაში და მსოფლიოს ან ევროპის ჩემპიონატებზე მოხვედრა. რა თქმა უნდა, კარგ კლუბში მოწყობაზეც არ ვიტყვი უარს.

**— პოო, ნაკრები... შენც გინდა იმათ რიცხვს შეუერთდე, ნახევარ საქართველოს ლამის ინფარქტი რომ დამართა? კიდევ კარგი, მეორე ნახევარს შუქი არა აქვს თორემ...**

— საქართველოს ნაკრები აუცილებლად იტყვის თავის სათქმელს. უბრალოდ, შესაბამისი პირობები და მიზნისკენ უსასრულოდ ლტოლვაა საჭირო. მოვა ჩვენი დროც და ქომაგიც გაიხარებს.

**გამუგა ძვანტალიანი**



სერგო ჭურაძისთვის ნაცნობი მომენტი: ვითარება განმუხტულია

## შვეიცარია

მეორე ეტაპი. A ჯგუფი
XI ტური

ლუგანო 2:0 სიონი
ციურიხი 1:1 გრასჰოპერი

მეორე ეტაპი. A/B ჯგუფი
XI ტური

დელემონი 0:0 თუნი
ლუცერნი 2:2 აარაუ
ვინტერთური 1:4 ლოზანა

მეორე ეტაპი. B ჯგუფი
XI ტური

ლოკარნო 0:2 ბელინცონა
კონკორდია 1:1 ვადუცი
კარუჟი 0:1 ბადენი
ივერდონი 2:6 კრიენსი

## დანია

თასის ნახევარფინალი. საპასუხო მატჩი

რანდერს ფრეია (III) 0:0 ოდენსე

## ავსტრია

თასის ნახევარფინალი

გრაცერი 2:0დ.დ. (0:0) ზალცბურგი

## რუსეთი

თასის ნახევარფინალი

ცსკა 1:0 ამკარი (II)

## ჰოლანდია

პირველი დივიზიონი
გადადებული მატჩი

გრააფშააპი 0:1 ფეიენოორდი

## იტალია

თასის ფინალი. პირველი მატჩი

იუვენტუსი 2:1 პარმა

1:0 ამორუზო (53), 2:0 ზალაიეტა (67), 2:1 ნაკატა (90)



REUTERS ფოტო

იუვენტუსი — პარმა. პირველ სათასო მატჩში პირველი გოლი ტურინელმა ნიკოლა ამორუზომ გაიტანა


# ინდსაწარმო «არეალი»

თანამედროვე დიზაინით და ტექნოლოგიებით
ამზადებს ნებისმიერი სახის
საოფისე ავეჯს
სამზარეულოებს, კარადებს, მაგიდებს, სკამებს



მისამართი: თბილისი, ვაშლიჯვარი, გოძიაშვილის 97 (ბეოლოგების გარაჟი)
ტელეფონები: 39 00 98 ან 8 99 54 07 01



ხელმისაწვდომი ფასები
გადახდის ნებისმიერი ფორმით

# იყიდება

ვაზ–2107 თეთრი ფერის,
1990 წელს გამოშვებული,
კარგ მდგომარეობაში.

ტელ: 39-48-29 (11.00 19.00);
69-89-56 (საღამოს)
კახა



*შარშან აგვისტოში ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე დანიურმა „კოპენჰაგენმა“ ქუთაისის „ტორპედო“ დაიფრინა — ქუთაისური 1:1-ის შემდეგ შინ 3:1 სძლია და მომდევნო ეტაპზეც გააღწია. თუმც ამ წარუმატებელი შედეგიდან „ტორპედო“ ხეირს მაინც გამორჩა. ქუთაისურ მატჩში გოლის გამტანი **მიხეილ აშვეთია** სკანდინაველებს თვალში მოუვიდათ და დაახლოებით ერთთვიანი მოლაპარაკების შემდეგ თავისთან გადაიბირეს. „ტორპედომ“ კი მილიონი ევროთი გაისქელა ჯიბე.*

*„კოპენჰაგენი“ რიგით მეორე უცხოური კლუბია 23 წლის ქართველი ფორვარდისთვის და აშვეთიასაც დანიური კარიერისა მეტად ეიმედებოდა, მაგრამ...*



# აშვეთია კავკასიის მთების შვილია

## მშვიდ კოპენჰაგენს მშფოთვარე თერგი ურჩევნია

**მიხეილ აშვეთიამ** გუნდის ძირითად შემადგენლობაში ფეხი ვერ მოიკიდა და მთელი ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ ხუთჯერ გამოჩნდა მოედანზე — ისიც შემცვლელად. ჩვენებურს მხოლოდ იმით ანუგეშებდნენ, რომ მის კონკურენტს, ნიგერიელ სიბუსისო ზუმას მალე გაყიდდნენ და აშვეთიასაც გზა გაეხსნებოდა, თუმც სიტყვა სიტყვად. ქართველი თავდამსხმელი კი სათადარიგოთა სკამზე დარჩა.

დანიური „კოპენჰაგენი“ ჩვენებურისთვის მეორე უცხოური კლუბიაო, ვთქვით და აქვე შეგახსენებთ, რომ პირველად მან რუსული „ალანიას“ მაისური მოირგო. მეტიც, ვლადიკავკაზურ კლუბში აშვეთია ორჯერ — 1997 და 2000 წლებში თამაშობდა და საერთო ჯამში 40 მატჩში 12 გოლის გატანა შეძლო...

„ალანია“ ტყუილად არ გვიხსენებია. ამაზე თავად მიხეილ აშვეთიას „სარბიელთან“ ინტერვიუში შეიტყობთ.

**— ადრე განაცხადში მაინც ხვდებოდით და რამდენჯერმე შეცვლაზე ითამაშეთ. ბოლოხანს კი საერთოდ არ ჩანხართ თექვსმეტკაციან შემადგენლობაში...**

— აბა, რა გითხრათ. ძალიან დიდი კონკურენციაა. ძველებურად ვვარჯიშობ და თავის გამოჩენას ვცდილობ, მაგრამ აქედან რაც გამოდის, თავადაც ხედავთ. არადა, თამაში ძალიან მომენატრა.

**— თქვენი მთავარი კონკურენტის, სიბუსისო ზუმას გაყიდვას აპირებდნენ, რაც თქვენთვის კარგი შანსი იქნებოდა...**

— ეს, ალბათ, აღარ მოხდება. ბოლო მატჩები გუნდმა ძალიან კარგად ჩაატარა და საჩემპიონო ამბიციებიც გაუჩნდა. ახლა „ბრონდბიუს“ მხოლოდ ორი ქულით ჩამოვრჩებით, თანაც ამ გუნდს შინ ვეთამაშებით. ასე რომ, ზუმას გაყიდვა უკვე არარეალურად მეჩვენება. მით უმეტეს, თუკი ჩემპიონები გავხდით, მომავალი სეზონიდან ჩემპიონთა ლიგაში თამაშიც მოგვიწევს. ნიგერიელის გაყიდვა რომ ნდომოდათ, აქამდეც გაყიდდნენ.

**— გავიგეთ, რომ თქვენ გადაბირებას ვლადიკავკაზის „ალანია“ აპირებს...**

— „ალანია“ მართლაც არის ჩემით დაინტერესებული. ვნახოთ, მოლაპარაკებები მიმდინარეობს.

**— თქვენ თანახმა ხართ რუსეთში თამაშზე?**

— რატომაც არა. „კოპენჰაგენში“ თამაშის საშუალება არ მეძლევა, „ალანიაში“ კი ამის შანსი ნამდვილად მექნება. თანაც რუსეთში ადრეც მითამაშია და არ გამიჭირდება. ეს ურიგო ვარიანტი სულაც არაა.

**— როდის გაირკვევა ეს საკითხი?**

— სეზონის ბოლომდე ყველაფერი გადაწყდება. როგორც ვიცი, ოსები სერიოზული გუნდის გაკეთებას აპირებენ და ესეც ძალიან მსიამოვნებს.

**— „ალანია“ თქვენს შეძენას აპირებს თუ იჯარის წესით ნათხოვრობას?**

— როგორც ვიცი, ლაპარაკი ყიდვაზეა.

**— რამდენს ითხოვს თქვენს სანაცვლოდ „კოპენჰაგენი“?**

— ვერაფერს გეტყვით. ეს საკითხი ჩემი გადასაწყვეტი არაა და არც მაინტერესებს.

**— თქვენი აგენტი ვინ არის?**

— დანიელი ივან ბენეში.

**— „ალანიას“ ვარიანტი მან შემოგთავაზათ?**

— არა. „ალანიამ“ თავად მომმართა წინადადებით. ბენეში კი ერთ-ერთი დანიური კლუბის ვარიანტზე მუშაობს.

**— რომელი უფრო რეალურია, „ალანია“ თუ სხვა დანიური კლუბი?**

— ჯერჯერობით ამ კითხვაზე პასუხს ვერ გაგცემთ. გააჩნია, როგორ წარიმართება მოლაპარაკებები. დანიური კლუბის ვარიანტი სათადარიგოდ მაქვს. თუკი რუსეთში გადასვლა ჩამეშლება, ამაზე მერე ვიფიქრებ. აქ, ალბათ, განათხოვრებაზე იქნება საუბარი.

**ბაჩა შალამბერიძე**



„კოპენჰაგენთან“ ქუთაისში გატანილმა გოლმა მიხეილ აშვეთია დანიელებს თვალში ჩაუგდო

# ახალგაზრდა ქართველი რეინჯერსში

## ვიცი, მაგრამ არ გეტყვით

**ერთი თვეც** და ევროტურნირებთან ერთად ეროვნული ჩემპიონატებიც ჩამთავრდება, გზა კორეა-იაპონიისკენ გაიჭრება და მთელი მსოფლიო მუნდიალით შეიქცევს თავს. ქართველი ფეხბურთელებისთვის კი ოდენ ახალი სატრანსფერო ციებ-ცხელება დაიწყება...

ფიფას ლიცენზირებული აგენტი რევაზ არველაძე ბრიტანეთიდან ახლახან დაბრუნდა და სასაუბროდაც მოვიხელთეთ.

— ჯერ ლონდონში გახლდით და შეხვედრა მქონდა ჩემს კომპანიონ კრის ოფარელთან. ორგანიზაციულ საკითხებზე ვილაპარაკეთ. გვინდა, რომ ჩვენს ურთიერთობას ოფიციალური სახე მივცეთ. ოფარელი ინგლისურ და შოტლანდიურ საფეხბურთო ბაზარზე იქნება ჩემი პარტნიორი. მოგეხსენებათ, თუ რა რთულია ბრიტანეთში არაევროკავშირელი ფეხბურთელის ტრანსფერი, მით უმეტეს, ჩვენი ფეხბურთი არ არის იმ დონეზე, რომ გაადვილდეს ქართველი ფეხბურთელების იქაურ კლუბებში გადასვლა.

— ოფარელი ახალგაზრდა კაცია და როგორც აგენტს, ბევრი კიდევ დასამტკიცებელი აქვს, ისევე როგორც მეამიტომაც მასთან ურთიერთობა ოპტიმალურ ვარიანტად მიმაჩნია, თუმც ოფარელი არცთუ გამოუცდელი და დამწყებია ამ საქმეში — მისი 22 კლიენტ-ფეხბურთელი კორეა-იაპონიაში წავა, ცხადია, ძირითადად ინგლისელები.

— ბრიტანულ კლუბებში მოხვედრის პერსპექტივა აქვთ თბილისის „დინამოში“ და ქუთაისის „ტორპედოში“ მოთამაშე ნაკრების წევრებს. მაგალითად, რამდენიმე თვის წინ რევაზ ქემოკლიძის შოტლანდიურ „სენტ ჯონსტონში“ გადასვლა ნაკრებში არასაკმარისი რაოდენობით ჩატარებულ მატჩების გამო დაბრკოლდა. ქემოკლიძეთი ახლა რუსული კლუბები, ცსკა და „ალანია“ არიან დაინტერესებულნი.

— ვიყავი გლაზგოშიც. ჩემი ძმის, შოთას მეშვეობით კონტაქტების დამყარება დავიწყე „რეინჯერსთან“. ცხადია, დავათვალიერე „რეინჯერსის“ ბაზა, „აიბროქსი“, გავეცანი კლუბის სტრუქტურას და ყველაფერ ამით აღფრთოვანებული დავრჩი. „რეინჯერსში“ კი აუცილებლად ჩავიყვან ერთ ახალგაზრდა ქართველ ფეხბურთელს — მის ვინაობას ჯერ ვერ გაგიმხელთ.

— მიხეილ აშვეთია ივან ბენეშის კლიენტი ჩემი მეშვეობით გახდა. აშვეთიასთვის ასე აჯობებს. ბენეში ხომ დანიაში და სიტუაციას უკეთ გააკონტროლებს.



რევაზ არველაძე

— რაც შეეხება თბილისის დინამოელებს, მოხარული ვარ, რომ ეროვნულ ნაკრებში ფეხს იკიდებენ. ისინი თბილისის „დინამოს“ ძირითადში ჩემი ამ კლუბში ყოფნისას დამკვიდრდნენ — კიევში შაშიაშვილის, ამისულაშვილის და ბურდულის თამაშით კმაყოფილი დავრჩი, მაგრამ მათი უცხოურ კლუბებში გადასვლა მხოლოდ ჩემზე არ არის დამოკიდებული, რადგან „დინამომაც“ უნდა დააფიქსიროს თავისი პოზიცია. კლუბის გადაწყვეტილების გარეშე ხომ არაფერი გაკეთდება.

**დავით თავართქილაძე**



რამაზ სვანაძე

# სვანაძე ამერიკულად გაჭრეს

## კარლოსი უკანმოუხედავად კიდევ სამი კვირა ირბენს

**თბილისის „დინამოსა“** და ახალგაზრდული ნაკრების მარჯვენა მცველმა რამაზ სვანაძემ ოპერაცია გაიკეთა. მას თიაქარის საწყისი სტადია ჰქონდა და პრობლემები ამ მხრივ ორი კვირა არაა, რაც შეექმნა. როგორც „დინამოს“ და ნაკრების ექიმმა დიმა ხაჩიშვილმა გვითხრა, ეს წმინდა მამაკაცური დაავადებაა, რომელმაც ყოველგვარი ფიზიკური დატვირთვების გარეშეც შეიძლება იჩინოს თავი.

სვანაძეს ოპერაცია თანამედროვე წესით, ენდოსკოპიით ანუ დანით გაჭრის გარეშე გაუკეთდა და თიაქარის საწყისი სტადია სინთეტური ბადის დადებით გაუვნებელდა. ამ ამერიკული მეთოდის წყალობით ფეხბურთელი ორ-სამ კვირაში შეუდგება ვარჯიშს, ხოლო ძველი, ტრადიციული ოპერაციის შემთხვევაში ოთხი თვე მოსცდებოდა ფეხბურთს.

ასე რომ, „დინამოს“ დაცვის მარჯვენა ფლანგზე ისედაც კარგად მოთამაშე კარლოს ალებრტო და როჩას, საამსეზონოდ სერიოზული კონკურენტი თავის პოზიციაზე, ალბათ, აღარ გამოუჩნდება.

**დავით თავართქილაძე**


# ჯილდო ათწლოვანი «კროკოსგან»

„კროკოს“ ათწლოვან იუბილესთან დაკავშირებით საგანგებო წესით შევსებული ბილეთის მომგები მოგებული თანხის გარდა ჯილდოდ მიიღებს ახალთახალ „რენო მეგანს“

ჯილდოს დაწესების შესახებ ყოველი ტირაჟის გამოქვეყნებისთანავე გამოცხადდება

გადააბით ერთმანეთს 12 მატჩი და თუ თითოეულის კოეფიციენტი იქნება არანაკლებ 1,7, ხოლო ერთ თორმეტმატჩა ვარიანტზე ჩახვალთ ფსონს არანაკლებ 5 ლარისა, ოპერატორს მოსთხოვეთ ბილეთზე საგანგებო ბეჭდის დასმა და მოგებული თანხის გარდა მიიღეთ ჯილდო

## ახალთახალი «რენო მეგანი»



საქართველოში „რენოს“ ოფიციალური იმპორტიორის საფირმო მაღაზიიდან

მისამართი: ვაჟა ფშაველას 58

საგანგებო ბილეთით მოგებული თანხა „კროკოს“ წესების თანახმად გაიცემა „კროკოს“ ნებისმიერ ოფისში, ჯილდოს მისაღებად კი მიმართეთ ცენტრალურ ოფისს ტელეფონებზე: 34-41-84, 34-79-81, 92-38-93

# ჩემპიონთა ლიგა ნახევარფინალი პირველი მატჩი

# მანჩესტერი 2:2 ლევერკუზენი

**მანჩესტერი. „ოლდ ტრეფორდი“. 66 534 მაყურებელი. მსაჯი: ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)**

| | | |
|---|---|---|
| ბარტეზი, გ. ნევილი (ფ. ნევილი 18; ირვინი 88), ბრაუნი, ბლანი, სილვესტრი, ბათი, სქოულზი (კინი 82), ვერონი, გიგზი, ვან ნისტელროი, სოლსკიაერი<br>მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი | 1:0 სოლსკიაერი (29), 1:1 ბალაკი (62), 2:1 ვან ნისტელროი (673), 2:2 ნოივილი (75)<br>გაფრთხილება: ფ. ნევილი, ჟივკოვიჩი, ზე რობერტო | ბუტი, ჟივკოვიჩი, ლუსიო, ნოვოტნი (სებესკენი 46), პლასენტე, შნაიდერი, რამელო, ბაშთურქი (ვრანიეში 78), ბალაკი, ზე რობერტო, ბერბატოვი (ნოივილი 72)<br>მწვრთნელი: კლაუს ტოპმიოლერი |

# ფარმაცევტის რეცეპტი ბევრი ასპირინი ნახევარფინალში გაგეჩხირება


REUTERS

კარსტენ რამელო რაიან გიგზს წაქცეულიც არ დანებდა

**ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲣᲚᲘ** „ბილდი“ „ბაიერის“ გამხნევებას მატჩის დღეს, დილიდანვე შეუდგა: „დაივიწყეთ „ვერდერი“ და „ნიურნბერგი“, დაივიწყეთ ბუნდესლიგა, მხოლოდ „მანჩესტერ იუნაიტედზე“ იფიქრეთ. თქვენ შეგწევთ უნარი მეტოქის დამარცხებისა. მთელი გერმანია, თვით ოტმარ ჰიცფელდიც მხარში გიდგათ“.

იმავე „ბილდში“, „ოლდ ტრეფორდის“ მეფედ მოხსენიებულმა ოტმარ ჰიცფელდმა არ დაიზარა და თავის ლევერკუზენელ კოლეგას ურჩია: „მანჩესტერელებს სივრცე უნდა შეუზღუდოთ. არ მისცეთ ბურთის თავისუფლად გაგორების საშუალება. იბრძოლეთ მოედნის ყველა მონაკვეთზე, რაც საბოლოოდ აუცილებლად მოგიტანთ კარგ შედეგს“.

აი, ასე მოძღვრავდა გერმანია ნახევარფინალში გასულ ფარმაცევტებს.

მატჩამდე არც ცხვირწითელა შოტლანდიელი იყო მლერიე ხასიათზე. ფერგიუსონი კინისა და ბექემის არყოფნას არ იმჩნევდა, თუმცა ირლანდიელი კაპიტნის სამსახური მის გუნდს მაინც დასჭირდა. „ვგრძნობ, მეტოქეს ცეცხლის ალში გავხვევთ — თქვა სერ ალექსმა — ისე ვიბურთავებთ, როგორც „დეპორტივოსთან“. განსაკუთრებით ნიკი ბათის მეიმედება, იგი ფორმის პიკშია“.

უძლო ენები მატჩის დაწყებისას დამოკლდნენ, ხოლო სიტყვათა ბრაგაბრუგი ფეხბურთმა შეცვალა.

მასპინძლებს მალევე დაეტყოთ მთავარი კაცების არყოფნა. საერთოდ „მანჩესტერი“ „ოლდ ტრეფორდზე“ ყოველთვის რიხით იწყებს, რაც ამჯერად არ გამოუვიდა. საწყის ხუთ წუთში უფრო სტუმრები მძლავრობდნენ და თითქოს გასახურებლად გამოსულანო, ისე ქსოვდნენ ბურთით მინდორს. წითელმაისურიანებს მაშინვე შეეტყოთ, რომ მეტოქეს ადვილად ვერ მოუგრეხდნენ კისერს.

უბექემო მარჯვენა ფლანგი უპატრონოდ მიტოვებული ძველი სახლივით მოირყა, რომლის გამაგრებასაც დიაგონალზე ბირდაბირივით მოძრავი გიგზი ცდილობდა. მაგრამ მარტო უელსელი, აბა, რას შეძლებდა.

შუაგულში სამნი ტრიალებდნენ. ფერგიუსონისგან ნაქები ნიკი ბათი ბევრს კი მოძრაობდა, მაგრამ მას პოლს სქოულზმა მხარი ვერ აუბა. ვერონი კი, ფეხზე ბურთით კადრში სხვებზე მეტად ჩნდებოდა. არგენტინელი ცენტრში არ ყოვნდებოდა და სწრაფად ეძებდა გაგრძელებას.

პირველად კბილი სტუმრებს ვან ნისტელროიმ გაჰკრა. სიღრმიდან სქოულზის ჩაკიდებული ბურთი გიგზმა ჰოლანდიელს თავით გადაუგზავნა, მაგრამ მეგოლეს ამ სანატრელ მომენტში ფეხი „დაუმოკლდა“.

ბედმა მას მალე კიდევ ერთი შანსი მისცა, თუმც ფორვარდმა ვერც იქ ივარგა. ორ მცველთან დარჩენილს თავიდან ფინტი გამოუვიდა, ოღონდ მერე აირ-დაირია და ჰანს იორგ ბუტმაც მშვიდად ამოისუნთქა.

მცირე ხანში მასპინძელთა მცველმა გარი ნევილმა წესიერად გავლა ველარ შეძლო. ერთ-ერთ ბაიერელთან შეტაკება ამ ბოლო დროს „მანჩესტერისთვის“ თითქმის ტრადიციულად ქცეული რიტუალით დასრულდა. გარი მოედნის კიდეზე გადავიდა, მერე საკაციანი კაცები გამოჩნდნენ, ფეხმტკივანი ჰორიზონტალურ მდგომარეობაში გადაიყვანეს და რენტგენის გადასაღებად წაიყვანეს. თუ როგორ დამთავრდა ნევილის ამბავი, ამაზე ქვემოთ მოგახსენებთ, მანამდე კი მის ნაცვლად ძმა, ფილ ნევილი ჩაერთო თამაშში.

ფილმა თავისი შესვლა მყის აგრესიულად აღნიშნა. ჯერ მეტოქის საჯარიმოში შეჭრილმა კარში დარტყმა სცადა, თუმცა საიდანღაც მცველი აეტუზა, მერე უკან დაბრუნებულმა, გვერდით ხაზთან ზე რობერტო „აიხვია“ მუხლზე. სლოვაკმა მსაჯმა ლუბოშ მიხელმა გაცეცხლებული ფილის გაგრილება ყვითელი ბარათით სცადა და ფეხბურთელიც დაწყნარდა.

ამასობაში ვერონი და ბათი ჯიუტად ცდილობდნენ ფორვარდთა დასარტყმელ პოზიციაზე გაყვანას. მათი პასები ძირითადად საჯარიმოს წინა ხაზთან მცველების ნადავლი ხდებოდა, ამიტომ მეგოლეებს დაცვის გასაწელად განივად მოძრაობა უხდებოდათ.

მერე გოლი გავიდა. ნიკი ბათის გრძელი პასი ვან ნისტელროიმ საჯარიმოს გვერდით ხაზთან მიიღო და ეგრევე პენალტის ნიშნულთან მყოფ სოლსკიაერს გადაუგზავნა. ნორვეგიელის დარტყმული ბურთი ბორის ჟივკოვიჩს გაეხახუნანა, მისამართი იცვალა და ბუტი, ნახევრად მუხლებში მოხრილი, სკამზე დასაჯდომად გამზადებული კაცივით გახევებული დატოვა. „ოლდ ტრეფორდი“ კი გადმოშჩქეფარ ჩანჩქერს დაემსგავსა, „მანჩესტერმა“ გლაზგოსკენ პატარა ნაბიჯი გადადგა.

ტაიმის მილევამდე თხუთმეტი წუთი რჩებოდა. მასპინძლები საკუთარ საჯარიმოსთან აილურსნენ, თან მეტოქე გადაიპატიჟეს. დიდი ხათრი და მოწიწება „ბაიერს“ არ გამოუჩენია. პირველივე ხიფათისას, რომელიც ფაბიენ ბარტეზის კართან შეიქმნა, გაცხადდა, რომ მანჩესტერული დაცვა ხანდახან ძილმორეული დარაჯივით თვლემს. თავთეთრა რამელომ ბულგარელ ბერბატოვს ბურთი მეტოქის საჯარიმოში თავზე დაასკუპა. იქამდე ბერბატოვი ისე დასეირნობდა, როგორც „ოლდ ტრეფორდის“ დამთვალიერებელი ბულგარელი ტურისტი — ამჯერად კი მან ტურისტად კინაღამ ბარტეზი აქცია. ბლანს და ბრაუნს ორიენტირი აერიათ, ბერბატოვის თავურმა კი ფრანგი მეკარე ადგილზე გამოაქანდაკა. ბურთი ძელს გარედან მიეალერსა, რაც იმის ნიშანი იყო, რომ გერმანული მანქანა მწყობრში დგებოდა.

დაიწყო მეორე ტაიმი და ტოპმიოლერის ნააზრევმა მეთოდურად გამოიღო ნაყოფი. ნაჭუჭიდან ამოვარდა პოლ სქოულზი, ხოლო ნიკი ბათს ნელ-ნელა ნერვიულობა დაეტყო. რუუდ ვან ნისტელროიც აიჭრა. ხან ბურთს ველარ აჩერებდა, ხანაც პოზიციას ვერ ირჩევდა. ოლე გუნარ სოლსკიაერმა კი დაამტკიცა, რომ შეცვლაზე შესული ბევრად უფრო კარგად ერთვება თამაშში. გიგზს და ვერონს სილაღე მოაკლდათ, ოღონდ არგენტინელმა რამდენიმე კარგი პასის გახერხება მაინც შეძლო.

ტოპმიოლერმა იენს ნოვოტნის ნაცვლად ზოლტან სებესკენი შეიყვანა, რომელმაც მარჯვენა ფლანგი სათავისოდ წესრიგში მოიყვანა. მეტოქის ნახევარს გაუშინაურდა ბაშთურქიც. მან ორჯერ სცადა კარისკენ გასროლა, მაგრამ ჯერ სქოულზი გადაეღობა, მეორედ კი მისი დარტყმული ბურთი მაყურებლებმაც ველარ იპოვეს. მარცხენა ფრთას ზე რობერტომ ფეხი მიაჩვია და მალე გოლიც გამოიკვერა. ლუსიო-ზე რობერტო-შნაიდერის სამსვლიანი მიხაელ ბალაკის ზუსტი ცაციით დასრულდა. კომბინაცია იმდენად დინამიური იყო, რომ მასპინძლებმა თვალი ვერ შეასწრეს, ისე გათანაბრდა ანგარიში.

„მანჩესტერ იუნაიტედმა“ კვლავ საგოლედ გაიწია და ხუთიოდ წუთში ისევ დაწინაურდა. ვერონის სიღრმისეულ პასს ვან ნისტელროი საჯარიმოში შეჰყვა, წამით დაასწრო ზე რობერტოს, ბურთი ოდნავ წინ გაიგდო და ბრაზილიელისგან ფეხგამოდებული წაიქცა კიო, აღმოხდა მსაჯის სასტვენს, ნაღდი თერთმეტმეტრიანიაო. წაქცეული ადგა, ბურთი ნიშნულზე დადო და ფერგიუსონი გაახარა — 2:1.

ამ მომენტიდან ხუთი წუთი იყო გასული, როცა კლაუს ტოპმიოლერმა ოლივერ ნოივილს უხმო — დიმიტარ ბერბატოვმა სათადარიგოთა სკამზე გადაინაცვლა, ხოლო ნოივილმა მინდორზე და სამ წუთში ანგარიშიც გაათანაბრა. საჯარიმოში ოთხი მანჩესტერელი მცველი ირეოდა, მაგრამ ფორვარდს ხელი ვერავინ შეუშალა. ბლანმა უშნოდ მოიგერია, მერე დასახმარებლად ჩასულმა ბათმა ბურთს ქუსლი ამოჰკრა და ზედ მეკარის ბაქნის წინ დაცემულს ისევ ნოივილმა მიუსწრო — 2:2.

ნახევარი წუთით ადრე ვერონ-გიგზის კომბინაცია არგენტინელს გოლით რომ დაეგვირგვინებინა, ეგებ ყველაფერი სხვაგვარად დასრულებულიყო, მაგრამ...

ნიკი ბათმა ერთ ეპიზოდში კარსტენ რამელოს სარმა გამოსდო, რითაც გერმანელის რისხვა დაიტეხა თავს და ერთურთის თავ-პირზე ხელების ფათურსაც მოჰყვნენ. მსაჯმა ისინი გვერდზე გაიხმო, ხოლო მოქიშპეებმა ხელი ხელს დაჰკრეს, რაც იყო, დავივიწყოთო.

ლუბოშ მიხელის მიერ მეორე წამატებულ წუთზე ალექს ფერგიუსონმა ნერვიული ყბათაჩნევა შეწყვიტა და უკმაყოფილომ სალეჭი რეზინი პირის ღრუდან გამოაძევა.

ნამატჩევს პირველი ამბავი, რაც სერ ალექსმა შეიტყო, გარი ნევილის ფეხის მოტეხვა იყო. თურმე ნევილსაც ზუსტად ისეთი ტრავმა აქვს, რომელმაც დევიდ ბექემი ტრიბუნაზე გაამწესა.

კლაუს ტოპმიოლერმა ნამატჩევს თავაწეულმა ილაპარაკა: „ვამაყობ ჩემი ფეხბურთელებით. თამაშის წინ მათ ვურჩიე, ეოცნებათ, რამეთუ ოცნებებს ხანდახან ახდენა უწერიათ. ისეთ შედეგს მივაღწიეთ, უკეთესს ვერც ვინატრებდით. გუნდური სული და სწორი ტაქტიკური მოქმედება — აი, ჩვენი წარმატების საიდუმლო. დარწმუნებული ვიყავი, ბიჭებს „ვერდერთან“ მარცხი ვერ გატეხდა და ასეც მოხდა. პირველი გოლი ჩვენს კარში უიღბლობას უნდა მივაწერო, ხოლო თერთმეტმეტრიანი საეჭვო იყო. ბალაკის და ნოივილის გოლები კი ერთგვარი ჯილდო გახლდათ კარგი თამაშის სანაცვლოდ“.

სერ ალექსი არცთუ დაღონებული ჩანდა: „მახსოვს, „იუვენტუსთანაც“ ასე დავამთავრეთ პირველი ნახევარფინალური მატჩი, მაგრამ მერე ტურინში ყველამ ნახა ჩვენი ნამდვილი ძალა. „ბაიერი“ ახლა ეიფორიაშია და შეიძლება საპასუხო შეხვედრაში დავსაჯოთ. ვიცი, რომ სტუმრად მძიმე ბრძოლა გველის, თუმცა „მანჩესტერ იუნაიტედისთვის“ არც გასვლაზე თამაშია უცხო. ვფიქრობ, ფრე ლოგიკური შედეგია, თანაც მეტოქემ მეორე ტაიმში აშკარად გვაჯობა. ჩემმა ფეხბურთელებმა მობილიზება ვერ მოახერხეს“.

ლევერკუზენის „ბაიერის“ წარმატებულმა სვლამ ამ სეზონში კლუბს 21 მილიონი ევრო შემატა და მათი წლიური ბიუჯეტი ახლა 75 მილიონს შეადგენს. „ბაიერის“ მენეჯერმა, რაინერ კალმუნდმა თქვა, კლაუს ტოპმიოლერს, რომელსაც მომავალი წლის ივნისში უმთავრდებოდა კონტრაქტი, კიდევ რამდენიმე წლით დავიტოვებთო.

**ვაჟა ხუციშვილი**


REUTERS

დევიდ ბექემს გარი ნევილი გვერდით მოუჯდება




არსენალი — ვესტ ჰემი. ფრედერიკ ლიუნგბერგმა სტუმართა მეკარე ჯეიმსი და იან პირსი წამოაქცია

# მეთოფე სათოფეზე
## ბურთმა არსენალი გადახაზა

### ინგლისი

**პრემიერლიგა**
**გადადებული მატჩები**

**იფსვიჩი 1:0 მიდლსბრო**

1:0 დ. ბენტი (58)
იფსვიჩი: ა. მარშალი, ბრემბლი, მაკგრილი, ვენუსი (უილნისი 83), ჰრეიდარსონი, პერალტა, ჰოლანდი, კლეპამი, როიზერი, მ. ბენტი (დ. ბენტი 56), მარკუს სტიუარტი (ა. არმსტრონგი 56)
მწვრთნელი: ჯორჯ ბარლი
მიდლსბრო: შვარცერი, სტოკდეილი (მაკმაონი 86), კუპერი, საუთგეიტი, კედრუ, ფესტა, ინსი, დოუნინგი, ჯონსტონი (მარინელი 67), ნემეტი, კარბონე
მწვრთნელი: სტივ მაკლარენი
გაფრთხილება: ინსი, ჯონსტონი
მსაჯი: დური
25 979 მაყურებელი

**არსენალი 2:0 ვესტ ჰემი**

1:0 ლიუნგბერგი (77), 2:0 ნ. კანუ (80)
არსენალი: სიმენი, ეშლი კოული, ადამსი, კიოუნი, ვიეირა, ლიუნგბერგი (დიქსონი 90), ლორენი, პარლორი, ედუ (გრიმანდი 82), ბერგკამპი (ნ. კანუ 64), ანრი
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
ვესტ ჰემი: ჯეიმსი, რეპკა, უინტერბერნი, დეილი, ი. პირსი, შემელი (ლაბანტი 17), ტ. სინკლერი, კარიკი, ჯ. კოული, ლომასი, კანო (დეფო 74)
მწვრთნელი: გლენ როედერი
გაფრთხილება: კარიკი, ედუ, ვიეირა, ლომასი
მსაჯი: დანი
38 038 მაყურებელი

**პრემიერლიგის** ლიდერმა „არსენალმა" კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა ჩემპიონობისკენ, რადგან შინ რთულ და სალაპარაკოდ გამხდარ თამაშში 2:0 დაამარცხა „ვესტ ჰემი".

ცხრილის მეორე ბოლოში მოქცეულმა „იფსვიჩმა" კი, რომელსაც გავარდნამდე გოჯილა უკლია, კიდევ ერთხელ გაიბრძოლა და დარენ ბენტის გოლით 1:0 მოუგო „მიდლსბროს".

„არსენალს" კი ძალიან გაუჭირდა და გაიმარჯვა ბრწყინვალე ფრედი ლიუნგბერგისა და ნვანკვო კანუს გვიანი გოლებით. თუმცა, მანამდე, პირველი ტაიმის მიწურულს, მსაჯებმა ნაღდი გოლი არ ჩაუთვალეს ვესტჰემელ ფრედერიკ კანოს, მან ტონი ადამსიც მოატყუა, დევიდ სიმენიც და ცარიელ კარში გაგზავნა ბურთი, რომელიც აშკარად ხაზს შიგნიდან გამოიტანა ეშლი კოულმა.

„იმ ადგილიდან, სადაც მე ვიჯექი, კარის ხაზი არ ჩანს" — თქვა მეთოფეთა მენეჯერმა არსენ ვენგერმა — „გოლი რომც ჩათვლილიყო, ჩვენ მაინც მოვიგებდით, რადგან განწყობა გვქონდა".

ახლა „არსენალს" 78 ქულა აქვს და როგორც იქნა, თამაშების ოდენობით გაუტოლდა თავის მდევრებს და 4 ქულით უსწრებს „ლივერპულს", ხუთით კი „მანჩესტერს".

„გოლი იყო. გვერდითმა მსაჯმა ვერ დაინახა. ვიდეოჩანაწერზე ყველაფერი ჩანს — განაცხადა წაგებულთა თავკაცმა გლენ როიდერმა — ეს მსაჯთა უნებლიე შეცდომა იყო, მაგრამ ამგვარი შეცდომა ჩემპიონის ტიტული ღირს ხოლმე..."

**ირაკლი გამყრელიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 35 | 23 | 9 | 3 | 72:33 | 78 |
| ლივერპული | 35 | 22 | 8 | 5 | 58:26 | 74 |
| მანჩესტერი | 35 | 23 | 4 | 8 | 86:44 | 73 |
| ნიუკასლი | 36 | 20 | 8 | 8 | 70:48 | 68 |
| ჩელსი | 36 | 16 | 13 | 7 | 63:35 | 61 |
| ლიდსი | 36 | 16 | 12 | 8 | 51:37 | 60 |
| ვესტ ჰემი | 36 | 14 | 8 | 14 | 45:53 | 50 |
| ტოტენჰემი | 36 | 13 | 8 | 15 | 47:51 | 47 |
| მიდლსბრო | 36 | 12 | 9 | 15 | 35:44 | 45 |
| ასტონ ვილა | 36 | 10 | 14 | 12 | 41:45 | 44 |
| ფულემი | 36 | 10 | 13 | 13 | 36:41 | 43 |
| ევერტონი | 36 | 11 | 10 | 15 | 41:51 | 43 |
| საუთჰემპტონი | 36 | 11 | 9 | 16 | 42:51 | 42 |
| ჩარლტონი | 36 | 10 | 12 | 14 | 36:47 | 42 |
| ბლექბერნი | 35 | 10 | 10 | 15 | 47:46 | 40 |
| ბოლტონი | 36 | 9 | 13 | 14 | 43:58 | 40 |
| სანდერლენდი | 36 | 10 | 8 | 18 | 26:48 | 38 |
| იფსვიჩი | 36 | 9 | 9 | 18 | 41:58 | 36 |
| დერბი ქაუნთი | 36 | 8 | 5 | 23 | 32:61 | 29 |
| ლესტერი | 36 | 4 | 12 | 20 | 28:63 | 24 |




გოლია? ცხადია! მსაჯის გარდა ეს ყველამ დაინახა

### საბერძნეთი

**გადადებული მატჩი**

**პანათინაიკოსი 5:3 იონიკოსი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 25 | 16 | 7 | 2 | 64:29 | 55 |
| აეკ | 25 | 18 | 1 | 6 | 59:26 | 55 |
| პანათინაიკოსი | 25 | 15 | 7 | 3 | 51:24 | 52 |
| პაოკ | 25 | 14 | 6 | 5 | 53:39 | 48 |
| ქსანთი | 25 | 11 | 6 | 8 | 32:25 | 39 |
| ირაკლისი | 25 | 9 | 8 | 8 | 31:34 | 35 |
| პანიონიოსი | 25 | 8 | 10 | 7 | 36:32 | 34 |
| ოფი | 25 | 9 | 6 | 10 | 31:33 | 33 |
| არისი | 25 | 7 | 8 | 10 | 24:29 | 29 |
| აკრატიტოსი | 25 | 6 | 5 | 14 | 28:39 | 23 |
| ეგალეო | 25 | 6 | 5 | 14 | 25:45 | 23 |
| იონიკოსი | 25 | 5 | 7 | 13 | 21:45 | 22 |
| ეთნიკოსი | 25 | 4 | 5 | 16 | 18:42 | 17 |
| პანაჰაიკი | 25 | 2 | 9 | 14 | 24:55 | 15 |

### პოლონეთი

**პლეი ოფი. XII ტური**

ვისლა — ლეგია 1:1; პოლონია — პოგონი 5:0; რუხი — ამიცა 2:1; ოდრა — კატოვიცე 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლეგია | 12 | 7 | 5 | 0 | 18:9 | 40 |
| ვისლა | 12 | 6 | 3 | 3 | 20:14 | 35 |
| ამიცა | 12 | 6 | 3 | 3 | 17:10 | 33 |
| პოლონია | 12 | 5 | 3 | 4 | 16:15 | 31 |
| კატოვიცე | 12 | 4 | 4 | 4 | 10:14 | 25 |
| ოდრა | 12 | 2 | 3 | 7 | 11:18 | 25 |
| რუხი | 12 | 3 | 2 | 7 | 12:16 | 21 |
| პოგონი | 12 | 2 | 3 | 7 | 7:15 | 21 |

**პლეი აუტი. XII ტური**

ვიძევი — გურნიკი 2:0; სტომილი — რადომსკო 1:1; გროცლინი — ოსტროვეცი 4:0; ზაგლები — შლიონსკი 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ზაგლები | 12 | 5 | 5 | 2 | 17:12 | 29 |
| გურნიკი | 12 | 6 | 4 | 2 | 18:10 | 28 |
| ვიძევი | 12 | 5 | 6 | 1 | 14:6 | 27 |
| რადომსკო | 12 | 3 | 6 | 3 | 12:14 | 23 |
| გროცლინი | 12 | 4 | 2 | 6 | 14:13 | 22 |
| ოსტროვეცი | 12 | 2 | 5 | 5 | 11:18 | 19 |
| შლიონსკი | 12 | 2 | 3 | 7 | 12:19 | 18 |
| სტომილი | 12 | 2 | 7 | 3 | 9:15 | 18 |

### ავსტრია

**გადადებული მატჩი**

**აუსტრია 1:1 რაპიდი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტიროლი | 32 | 22 | 6 | 4 | 56:11 | 72 |
| შტურმი | 32 | 15 | 11 | 6 | 57:35 | 56 |
| გრაცერი | 32 | 14 | 12 | 6 | 59:37 | 54 |
| აუსტრია | 32 | 12 | 11 | 9 | 47:33 | 47 |
| კერნტენი | 32 | 13 | 7 | 12 | 35:44 | 46 |
| ბრეგენცი | 32 | 11 | 8 | 13 | 46:61 | 41 |
| ზალცბურგი | 32 | 10 | 9 | 13 | 33:38 | 39 |
| რაპიდი | 32 | 9 | 9 | 14 | 29:40 | 36 |
| რიდი | 32 | 7 | 9 | 16 | 33:49 | 30 |
| ადმირა | 32 | 3 | 6 | 23 | 20:67 | 15 |

### ჰოლანდია

**პირველი დივიზიონი**
**გადადებული მატჩები**

**პსვ ეინდჰოვენი 6:0 ტილბურგი**

1:0, 2:0 კეჟმანი (10, 30), 3:0, 4:0 ვან ბომელი (37, 55), 5:0 ბრუგინკი (61), 6:0 ოოიერი (72)
პსვ ეინდჰოვენი: ვატერეუსი, ბოგელუნდი, ოოიერი, ნიკიფოროვი, ბუმა, ვან ბომელი, ფოგელი, რომედალი (ბახტაძე 66), ა. რამზი, კეჟმანი (ვენეგოორ ოფ ჰესელინკი 73), ბრუგინკი (დე იონგი 73)
მწვრთნელი: ერიკ გერეტსი
მსაჯი: ვან ეგმონდი
31 500 მაყურებელი

**ჰერენვენი 2:0 გრონინგენი**

0:1 ბუიჯსი (44), 1:1 გლუშჩევიჩი (53), 1:2 ნელისე (56), 2:2 გლუშჩევიჩი (69), 3:2 კუიტი (64)

**უტრეხტი 3:2 ალკმაარი**

1:0, 2:0 მაკასონი (47, 69)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აიაქსი | 32 | 20 | 7 | 5 | 69:34 | 67 |
| პსვ | 32 | 19 | 7 | 6 | 72:30 | 64 |
| ფეიენოორდი | 31 | 18 | 6 | 7 | 65:26 | 60 |
| ჰერენვენი | 32 | 17 | 8 | 7 | 55:24 | 59 |
| ვიტესი | 32 | 15 | 12 | 5 | 39:29 | 57 |
| უტრეხტი | 32 | 14 | 8 | 10 | 60:49 | 50 |
| ბრედა | 32 | 14 | 8 | 10 | 52:51 | 50 |
| ვალვაიკი | 32 | 13 | 6 | 13 | 46:41 | 45 |
| ნაიმეგენი | 32 | 13 | 6 | 13 | 38:52 | 45 |
| ტილბურგი | 32 | 10 | 12 | 10 | 52:57 | 42 |
| ტვენტე | 32 | 9 | 11 | 12 | 39:41 | 38 |
| ალკმაარი | 32 | 10 | 7 | 15 | 37:45 | 37 |
| როდა | 32 | 10 | 7 | 15 | 32:45 | 37 |
| გრააფსხაპი | 31 | 9 | 6 | 16 | 40:51 | 33 |
| დენ ბოსხი | 32 | 8 | 9 | 15 | 40:52 | 33 |
| გრონინგენი | 32 | 9 | 6 | 17 | 38:59 | 33 |
| სპარტა | 32 | 4 | 11 | 17 | 26:72 | 23 |
| სიტარდი | 32 | 3 | 7 | 22 | 26:68 | 16 |

### ფეხბურთის რუკასთან



**გერმანელმა** სპეციალისტმა კრისტოფ დაუმმა ერთ-ერთ თურქულ გაზეთთან ინტერვიუში განაცხადა რომ სეზონის ბოლოს „ბეშიქთაშის" დატოვებას აპირებს და სამუშაოდ იტალიურ „პარმაში" გადავა, საიდანაც მიწვევა უკვე მიიღო.

**ფრანგული** „ოლიმპიკის" ახალ პრეზიდენტად 39 წლის ჟურნალისტი კრისტოფ ბუშე აირჩიეს. „ფრანს პრესის" ყოფილ თანამშრომელს ასეთ დიდ თანამდებობაზე არასდროს უმუშავია, თუმცა განაცხადა, რომ საქმიანობაში ეს ხელს არ შეუშლის, რადგან ხუთი თითივით იცნობს მარსელის „ოლიმპიკს" და კლუბის მთელ პერსონალს. 1992 წელს ჟურნალისტმა წიგნიც კი გამოსცა სათაურით: „ტაპის თავგადასავალი".

**გერმანიის** ახალგაზრდული ნაკრებისა და ფრანკფურტის „აინტრახტის" ნახევარმცველმა კრისტოფ პრეისმა ბუნდესლიგის ლიდერ ლევერკუზენის „ბაიერთან" ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. „პრეისი ახალგაზრდა, ნიჭიერი ფეხბურთელია და გვიხარია, ჩვენს კლუბში რომ ითამაშებს" — განაცხადა „ბაიერის" მენეჯერმა რაინერ კალმუნდმა.

**იტალიაში** გაისკა მენდიეტას „ლაციოდან" „კიევოში" გადასვლაზე ალაპარაკდნენ. ხმები რეალური მაშინ გახდება, თუ „კიევო" ჩემპიონთა ლიგის საგზურს მოიპოვებს, მაგრამ ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამის შანსი „ლაციოსაც" აქვს. ასე რომ, მენდიეტას საკითხი ჯერაც ბუნდოვანია.

**შოტლანდიური** „მოზერუელის" თავკაცად ინგლისის ნაკრების ყოფილი მცველი ტერი ბატჩერი დაინიშნა. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც კლუბი მწვრთნელმა ერიკ ბლეკმა დატოვა. ბატჩერს აქამდე „ქოვენთრი" და „სანდერლენდი" გაუწვრთნია.

**გერმანიაში** ბუნდესლიგის სადისციპლინო კომიტეტმა 10 ათასი ევროთი დააჯარიმა „ჰერტას" მენეჯერი დიტერ ჰიონესი. ჰიონესს „ჰერტა" — „ბაიერნის" მატჩისას არასპორტულ საქციელში დასდეს ბრალი და სეზონის ბოლომდე „ჰერტას" მატჩებზე დასწრებაც აუკრძალეს.

**პორტუგალიელი** ფორვარდი პედრო პაულეტა ფრანგულ საფეხბურთო ოსკარს მიიღებს. „ბორდოს" შემტევი საფრანგეთის უმაღლესი ლიგის ბომბარდირია და კვირას ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელობისთვის დააჯილდოვებენ. ამავე ცერემონიალზე საუკეთესო მწვრთნელის პრიზი „ტრუას" თავკაც ალენ პერეს გადაეცემა. 21-წლამდელ ფეხბურთელებში კი ფრანგები საუკეთესოდ „ოსერის" თავდამსხმელ ჯიბრილ სისეს დაასახელებენ.

**ბრაზილიელი** ფორვარდი რონალდინიო ოთხშაბათს „პარი სენ ჟერმენის" ვარჯიშისას დაშავდა და შესაძლოა, შაბათს „მეცის" წინააღმდეგ ვერ ითამაშოს. პარიზელები რონალდინიოს დღეს ტესტირებას ჩაუტარებენ და მისი საკითხი საბოლოოდ ამის შემდეგ გადაწყდება.

**ინგლისური** „ლესტერის" ნახევარმცველ რობი სევიჯს ერთი მოშარდვა სანანებელი გაუხდა. „ლესტერი" — „ასტონ ვილას" მატჩის წინ სევიჯმა მსაჯების საპირფარეშოთი ისარგებლა, რაც ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის რეგლამენტით აკრძალულია. ნახევარმცველი იმ მატჩის არბიტრმა გრემ პოლმა ამხილა. შედეგად სევიჯი კლუბმა ერთი კვირის ხელფასით დააჯარიმა, მაგრამ ყველაფერი ამით არ დამთავრებულა, რადგან წინდაუხედავ ფეხბურთელს ასოციაციისგან, სავარაუდოდ, ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია ელის.

**ფრანგულ** „სოშოს" 34 წლის მცველი ფილიპ რაშკე დოპინგის ხმარებაში ამხილეს. რაშკეს „მეცი" — „სოშოს" მატჩის შემდეგ პრედნიზოლონი აღმოუჩინეს სისხლში. თუმც ფეხბურთელს და მის კლუბს თავის გამართლების შანსიც აქვთ, რადგან რაშკე 26 თებერვლიდან მენისკიან მუხლს მკურნალობდა. „სოშოს" ექიმს ავადმყოფობის ისტორიაში ყველა ის მედიკამენტი აქვს აღნიშნული, რაც ფეხბურთელისთვის გამოიყენა და ამის შესახებ საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციაც ყოფილა საქმის კურსში. პრედნიზოლონიც მკურნალობის შედეგად აღმოაჩნდა სისხლში და ფეხბურთელი უბრალოაო, ირწმუნებიან სოშოელები. რაშკე წლეულს პირველი ფეხბურთელია დოპინგ-ტესტზე რომ გამოიჭირეს.

### შვეიცარია

**II ეტაპი. A ჯგუფი. XI ტური**

**სენტ გალენი 1:3 სერვეტი**

1:0 იმპოფი (5), 1:1 ა. ფრეი (47), 1:2 ლონფატი (53), 1:3 რ. პინტუ (81)

**იანგ ბოისი 0:3 ბაზელი**

0:1, 0:2 ტუმი (11, 13), 0:3 კუმანტარაკისი (58)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაზელი | 11 | 10 | 0 | 1 | 30:8 | 52 |
| ლუგანო | 10 | 6 | 2 | 2 | 16:10 | 39 |
| გრასჰოპერი | 10 | 5 | 3 | 2 | 18:11 | 37 |
| სერვეტი | 11 | 5 | 2 | 4 | 22:21 | 34 |
| იანგ ბოისი | 11 | 4 | 2 | 5 | 17:18 | 30 |
| ციურიხი | 10 | 4 | 0 | 6 | 8:14 | 27 |
| სენტ გალენი | 11 | 2 | 3 | 6 | 11:16 | 27 |
| სიონი | 10 | 0 | 0 | 10 | 5:29 | 17 |

**II ეტაპი. A/B ჯგუფი XI ტური**

**ქსამაქსი 2:0 ვილი**

1:0 ვიდერკერი (21), 2:0 შასო (83)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ქსამაქსი | 11 | 7 | 4 | 0 | 24:8 | 25 |
| ვილი | 11 | 5 | 3 | 3 | 11:9 | 18 |
| ლოზანა | 10 | 5 | 2 | 3 | 13:10 | 17 |
| არაუ | 10 | 4 | 2 | 4 | 12:15 | 14 |
| თუნი | 10 | 4 | 1 | 5 | 13:15 | 13 |
| დელემონი | 10 | 3 | 3 | 4 | 9:13 | 12 |
| ლუცერნი | 10 | 2 | 2 | 6 | 19:20 | 8 |
| ვინტერთური | 10 | 1 | 3 | 6 | 9:20 | 6 |

*შვეიცარიის ჩემპიონი „ბაზელი" გახდა. საჩემპიონო ტიტული გუშინ ინგლისური „ტოტენჰემიდან" დაბრუნებულმა კრისტიან გროსმა მოუტანა. 1980 წლის შემდეგ ეს „ბაზელის" პირველი ტრიუმფია. „მე ვამაყობ ჩემი ფეხბურთელებით", — თქვა „იანგ ბოიზთან" სტუმრად მოგებული საჩემპიონო მატჩის შემდეგ ბედნიერმა მწვრთნელმა.*

**Copa Toyota Libertadores '2002**

### ლიბერტადორესის თასი 2002

**მერვედფინალი. I მატჩები**

**ოლმედო (ეკვადორი) 0:5 მორელია (მექსიკა)**

0:1, 0:2 ნორიეგა (40, 47), 0:3, 0:4 ინიგესი (70, 82), 0:5 ნორიეგა (85)

**მონტევიდეო უონდერერზი (ურუგვაი) 2:2 პენიაროლი (ურუგვაი)**

0:1 ბუენო (10), 1:1, 2:1 ეგურენი (28, 35), 2:2 ბუენო (67)

**რივერ პლეიტი (არგენტინა) 1:2 გრემიო (ბრაზილია)**

1:0 დალესანდრო (47), 1:1 ტინგა (67), 1:2 ჟილბერტო (90)

*გუშინწინ ჩილეში, „კობრელოა" — „ოლიმპიას" შორის ლიბერტადორესის თასის მერვედფინალური მატჩისას, მსაჯს ტრიბუნიდან ნასროლი საგანი თავში მოხვდა. არგენტინელი სანჩესი საავადმყოფოში გააქანეს, მატჩი კი 1:1-ზე ჩაიშალა. სამხრეთ ამერიკის ფეხბურთის კონფედერაცია მომხდართან დაკავშირებით გადაწყვეტილებას რამდენიმე დღეში მიიღებს.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მსოფლიოს ჩემპიონატი

## H ჯგუფი: იაპონია, ბელგია, რუსეთი, ტუნისი

2002 FIFA WORLD CUP KOREA JAPAN

**ფართობი:** 17 075 200 კმ²
**მოსახლეობა:** 146 000 000
**დედაქალაქი:** მოსკოვი
ფეხბურთის ფედერაცია დაარსდა 1912 წელს
ფიფას წევრი 1912 წლიდან
უეფას წევრი 1954 წლიდან
**ფედერაციის პრეზიდენტი:** ვიაჩესლავ კოლოსკოვი
**გენერალური მდივანი:** ვლადიმირ როდიონოვი
**სტადიონი:** „ლუჟნიკი" (82 000)
**მწვრთნელი:** ოლეგ რომანცევი
**კაპიტანი:** ვიქტორ ონოპკო
**ფორმა:** თეთრი მაისურა, ლურჯი ტრუსი, წითელი გეტრები
**ტიტულიანი კლუბები:** „სპარტაკი", „ლოკომოტივი", ცსკა, „დინამო", „ტორპედო", „ალანია", „როტორი", „ზენიტი"
**ადგილი ფიფა-კოკა კოლას რეიტინგში:** 24



### გზა მსოფლიოსკენ

**შესარჩევი ეტაპი. I ჯგუფი**

02.09.00
შვეიცარია 0:1 რუსეთი
11.10.00
რუსეთი 3:0 ლუქსემბურგი
24.03.01
რუსეთი 1:1 სლოვენია
28.03.01
რუსეთი 1:0 ფარერები
25.04.01
იუგოსლავია 0:1 რუსეთი
02.06.01
რუსეთი 1:1 იუგოსლავია
06.06.01
ლუქსემბურგი 1:2 რუსეთი
01.09.01
სლოვენია 2:1 რუსეთი
05.09.01
ფარერები 0:3 რუსეთი
06.10.01
რუსეთი 4:0 შვეიცარია

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 10 | 7 | 2 | 1 | 18:5 | 23 |
| სლოვენია | 10 | 5 | 5 | 0 | 17:9 | 20 |
| იუგოსლავია | 10 | 5 | 4 | 1 | 22:8 | 19 |
| შვეიცარია | 10 | 4 | 2 | 4 | 18:12 | 14 |
| ფარერები | 10 | 2 | 1 | 7 | 6:23 | 7 |
| ლუქსემბურგი | 10 | 0 | 0 | 10 | 4:28 | 2 |

### ტიტულები

მსოფლიოს ჩემპიონატზე მეოთხე ადგილი (1): 1966
ევროპის ჩემპიონი (1): 1960
ევროპის ვიცე-ჩემპიონი (3): 1964, 1972, 1988
ევროპის ჩემპიონატზე მეოთხე ადგილი (1): 1968
ოლიმპიური ჩემპიონი (2): 1956, 1988



# სწორედ ით, სმენა, ნაბიჯით იარ!..

**რუსებს** მიაჩნიათ, რომ მათი ეროვნული გუნდი საბჭოთა ნაკრების პირდაპირი შთამომავალია და როცა ისტორიაზე მიდგება საქმე, ათვლას 50-იანი წლებიდან იწყებენ. თუმცა ასეთი ფორმულირება ცოტა უცნაური კია, ქართველებს თავი დავანებოთ და, 70-80-იან წლებში საბჭოეთის ნაკრები ლამის იგივე კიევის „დინამო" იყო და მაშინ უკრაინელებმა რაღა თქვან? ამიტომ, თუ სამართალია, ალბათ, უპრიანი იქნებოდა საბჭოთა კავშირთან ერთად ის ნაკრებიც ისტორიისთვის მიებარებინათ და ახალი წელთაღრიცხვა 1992 წლიდან დაეწყოთ, როცა ქვეყანას ჭეშმარიტად რუსეთის ეროვნული გუნდი მოევლინა და იმავე ზაფხულს მექსიკასთან მოსკოვში პირველი მატჩი გამართა (2:0). აქ რევოლუციამდელ რუსეთის იმპერიის ნაკრებს ნულარ ჩავეძიებით, რომელიც, ვთქვათ, გერმანიასთან 0:16, უნგრეთთან კი 0:12 აგებდა.

**დალასი: ნოვიცკი (31 ქულა, 15 მოხსნა), ფინლი (28), ნეში (17 ქულა, 10 პასი), ვან ექსელი (17)**

**მინესოტა: გარნეტი (31 ქულა, 18 მოხსნა), შჩერბიაკი (25), ბილაფსი (25)**

დიდი სისულელე მოუვიდათ მინესოტელებს. „მგლები" კი არიან და თითქოს სირბილიც იციან, მაგრამ ის კი დაავიწყდათ, რომ დალასელ „რქიანებს" სპრინტში ვერ გაასწრებდნენ. ისინი თავისდა უნებურად მეტოქეს გადამრბენ, სწრაფტემპა ბურთაობაში აჰყვნენ, დაცვა მოაშიშვლეს და საკუთარ კალათში 122 ქულის ატანა მოუხდათ. მერე კი შემოირტყეს თავში ხელი, როგორ გავბრიყვდითო, მაგრამ რაღა დროს, სერიას უკვე 0:2 აგებენ და ის, რომ მომდევნო ორ თამაშს (მეორე თუ საჭირო გახდა) მასპინძლობენ, მცირე ნუგეშია მათთვის. „როდესაც ასე სწრაფად თამაშობ, საათში ასი მილის სისწრაფით დარბიხარ, თავი ინდიანაპოლისის ოვალზე გგონია, სადაც გარშემო ამდენი საფრთხეა და ყოველთვის მართებულ გზას ვერ ირჩევ. ჩვენ შევცდით ტაქტიკის ჯერ კიდევ თამაშამდე არჩევაში. უნდა გვეცადა ტემპის დაგდება და მეტოქე გაგვეწვალებინა არა მის, არამედ ჩვენს ნახევარზე" — კევინ გარნეტი გვიან ჩასწვდა ჭეშმარიტებას.



კევინ გარნეტს მგლობა შეეშალა

**ირაკლი ფირუზვილი**

# თეთრმა ყვავმა შავები დააჩხავლა

## ამერიკამ ესპანეთი აღმოაჩინა



**ამერიკა** მას სკეპტიკურად შეხვდა, 2001 წლის დრაფტში „ატლანტა ჰოქსმა" მესამე ნომრად რომ აირჩია, ამ გუნდის საქმეთამმართველები ლამის სულელებად ჩათვალეს, ხოლო როდესაც „მემფის გრიზლიზის" მახვშებმა მის სანაცვლოდ ოლიმპიური ჩემპიონი შარიფ აბდურ-რაჰიმი გაიღეს, მათ პირდაპირ დასწამეს უვიცობა. ზოგმა ჟურნალისტმა ის წინასწარ დაასახელა სეზონის ყველაზე მოსალოდნელ იმედგაცრუებად. უკვე ერთი თვის შემდეგ ამ ხალხს ენაზე კბენა, ხოლო ერთი წლის შემდეგ ახალბედა მობურთალთა შორის მისი საუკეთესოდ დასახელება მოუხდა. ნბა-ში ესპანური პრიმერადივიზიონიდან გადაბარგებული საკალათბურთო ქვეყნის წიაღში გამოზრდილ ადგილობრივ ყმაწვილ ვარსკვლავებზე შორს წავიდა, მათზე უკეთ ითამაშა და გახდა პირველი ევროპელი, ვინც ამას მიაღწია.

211-სანტიმეტრიან ესპანელ თავდამსხმელ პაუ გასოლს სეზონის ახალბედის გამოსავლენ გამოკითხვაში კონკურენტი არა ჰყოლია. თავიდან მისმა ამოვალწუებელმა კალმიანმა და მიკროფონიანმა ჟურნალისტებმა ხალისით აღნიშნეს, რომ ის საუკეთესოა. 126 გამოკითხულიდან 117-მა მას აკუთვნა ხმა. მაინც ვახსენოთ მისი მდევრები. ნიუჯერსელმა რიჩარდ ჯეფერსონმა სამი ხმა „დასტყუა" მასმედიას, ინდიანელმა ჯამაალ ტინსლიმ, გოლდენსტეიტელმა ჯეისონ რიჩარდსონმა და იუტელმა ანდრეი კირილენკომ დანარჩენი ექვსი ხმა თანაბრად დაინაწილეს. ხმაც კი არავინ შეაწია გასოლის შემდეგ ახალბედებში ყველაზე ყოჩაღ შეინ ბეტიეს, რაც არ გვიკვირს. ბეტიე გასოლის თანაგუნდელია, მის მხარდამხარ თამაშობს და ბავშვიც დაინახავს, რომ პაუს გვარიანად ჩამორჩება.

გასოლის სხვებზე უპირატესობას ნათლად წარმოაჩენს ციფრები: მატჩში საშუალოდ ნაზვეჭი 17,6 ქულით, 8,9 მოხსნით და 2,1 დაფარებით საუკეთესოა ახალბედებში.

სტატისტიკა რომ გვერდზე გადავდოთ, „მემფისში" მისი ბურთაობის ვიზუალური დაკვირვებაც საკმარისია ამ ჯეელით მოსახიბლად. გასოლი „დათვების" ლიდერია და ვანკუვერიდან მემფისში გადმობარგებული „გრიზლიზი" მას უნდა უმადლოდეს 82-თამაშა სეზონში 23-ის მოგებას. მართალია, სხვა გუნდისთვის მხოლოდ 23 მოგება კატასტროფის ტოლფასი იქნებოდა, მაგრამ „დათვებს" ერთ სეზონში ამაზე მეტი არსებობის მანძილზე არ მოუგიათ. გასოლის შემხედვარეთ უკეთესი მომავლის იმედი უჩნდებათ, პაუ მხოლოდ 21 წლისაა.

„მოხარული ვარ, რომ პაუ ჩემს გუნდში თამაშობს. მთელი სეზონი თანაბრად კარგად ჩაატარა, ამასთან, რამაც ყველაზე მეტად გამაოცა, იოლად და თავიდანვე აუღო ალღო ჩვენს სწრაფ და ძალისმიერ კალათბურთს. მას ბრწყინვალე მომავალი ელის" — „მემფისის" მწვრთნელი სიდნი ლავე პირდაპირ მოხიბლულია შეგირდთა შორის უყოჩაღესით.

ცხადია, კმაყოფილია თავად სეზონის ახალბედაც. „დრაფტში ასე მაღალ ნომრად აქამდე არც ერთი ევროპელი არ აურჩიათ და მესამე ნომრად „ატლანტამ" რომ ამიყვანა, ყურებს არ დავუჯერე. მაღალ არჩევანს ხომ ხელფასიც სათანადო ერგება. არა, ჩემთვის ფული როდია მთავარი, დიდი ხელფასი დიდ ნდობას ნიშნავს და, მგონი, ხელმძღვანელებს იმედი არ გავუცრუე. ვფიქრობდი, რომ ეს ტიტული მე შემხვდებოდა, მაგრამ ერთია ვარაუდი და სხვა, როდესაც პრიზს ხელს შეავლებ".



კორლის უილიამსონი (ბურთით) თადარიგში გამორჩევამ სულაც არ გაახარა

# მინდა მე მეექვსე...

## თადარიგის ზემდეგი უილიამსონი წოდებით უკმაყოფილოა

**წლევანდელი** „დეტროიტ პისტონზი" შარშანდელ „ფილადელფიას" ემგვანება. მართალია, აღმოსავლეთში მთლად მწვერვალზე ვერ ავიდა, მაგრამ მეორე კი გახდა, ახლა კი სწორედ „ფილადელფიასავით" ხვეტს რეგულარულს შემდგომ ტიტულებს. „დეტროიტის" თავდამსხმელ-ცენტრ ბენ ვოლესის უყოჩაღეს დამცველად აღიარებიდან ორიოდ დღის შემდეგ კალათბურთის გამშუქებელმა ამერიკელმა და კანადელმა ჟურნალისტებმა „დეტროიტისვე" მოთამაშე კორლის უილიამსონი საუკეთესო მეექვსე კაცად, ანუ 29 გუნდის დაახლოებით 200 სათადარიგოს შორის უძლიერესად დაასახელეს.

გამოკითხვაში მედიის 125 თვალსაჩინო წარმომადგენელი მონაწილეობდა. მათგან 56-მა უილიამსონს მისცა უპირატესობა. 30 ხმით მეორე ადგილი დაიჭირა „საკრამენტოს" მეორე გამთამაშებელმა ბობი ჯექსონმა. 20 ხმა მოაგროვა, გამოკითხვაში ამ ორს ჩამორჩა და სხვა ყველას გაუსწრო კლიპერსელმა კვენტინ რიჩარდსონმა.

უილიამსონზე ალალია ეს ტიტული. მან მთელი სეზონის განმავლობაში ბეჯითად აწვალა მეტოქეები და სეზონის ბოლოს მატჩში საშუალოდ მოხვეჭილი 13,6 ქულით ყველა სათადარიგოზე წინ დადგა. „სხვანაირად არ გამიგოთ, და ეს ბიჭი ჩვენთან რომ მოვიდა, მაშინვე ვიფიქრე, წლის ბოლოს უეჭველად დაისაკუთრებს ამ ტიტულსმეთქი. მიხარია, რომ გამოვიცანი, კორლისი ჩვენი წარმატების ერთ-ერთი საფუძველია" — ამბობს „დეტროიტის" პრეზიდენტი ჯო დუმარსი.

არ გაიკვირვოთ და თავად უილიასონსი მაინცდამაინც არ ხარობს მეორეხარისხოვანთა შორის პირველად აღიარებას. ის სკოლაშიც და უნივერსიტეტშიც თავის გუნდებში ლიდერი იყო. მართალია ნბა-ში პირველი არასდროს ყოფილა, მაგრამ „დეტროიტში" მოსვლამდე ხუთეულში ადგილს არავინ უჭერდა. 1992 წელს ქვეყნის სასკოლო კალათბურთის საუკეთესო მოთამაშეს და 1994 წლის სტუდენტური ოთხთა ფინალის უძვირფასესს თითქოს კაშკაშა მომავალი უმზერდა, ახლა კი თუმც კარგი გუნდის, მაგრამ მაინც სათადარიგოა.

„ვერ ვიტყვი, რომ ბედნიერი ვარ. მთლიანობაში არ ავუღელვებივარ ამ ცნობას. ჩემთვის უმთავრესია კალათბურთის თამაში და არა რაღაც ტიტულები" — ამბობს უილიამსონი.

ზემოთ „დეტროიტი" „ფილადელფიას" შევადარეთ. შარშან „სიქსერზის" ხალხმა ექვსი პირადული ტიტულიდან ოთხი მიიღო. „დეტროიტს" შეუძლია, ოთხს თუ არა, სამს მაინც შესწვდეს. ვინ იცის, ევებ მწვრთნელი რიკ კარლაილი კოლეგათა შორის უძლიერესად აღიარონ.

**კოტე ყორშია**

# ჰიუიტი თიხის ფეხებზე



ლეიტონ ჰიუიტი



ანდრე აგასი

| ბარსელონა. თიხნარი საპრიზო 955 ათასი $ |
|---|

**მეორე წრე**

**დავიდ ნალბანდიანი** (16, არგენტინა) — ირაკლი ლაბაძე (საქართველო) 7:5, 7:5; **ლეიტონ ჰიუიტი** (1, ავსტრალია) — მარკ ლოპესი (ესპანეთი) 7:6 (8:6), 6:2; **სტეფანო გალვანი** (იტალია) — ევგენი კაფელნიკოვი (2, რუსეთი) 7:6 (7:3), 6:2; **ხუან კარლოს ფერერო** (3, ესპანეთი) — ხოსე აკასუსო (არგენტინა) 6:4, 6:3; **დომინიკ ჰრბატი** (სლოვაკეთი) — სებასტიან გროჟანი (4, საფრანგეთი) 6:4, 6:3; **გილერმო კანასი** (5, არგენტინა) — სერხი ბრუგერა (ესპანეთი) 5:7, 6:3, 6:3; **იუნეს ელ აინაუი** (6, მაროკო) — აგუსტინ კალერი (არგენტინა) 6:3, 3:0 (კალერიმ შეწყვიტა); **ნიკოლას ლაპენტი** (9, ეკვადორი) — დიდაკ პერესი (ესპანეთი) 6:4, 6:7 (7:9), 7:5; **კარლოს მოია** (12, ესპანეთი) — ანდრეა გაუდენცი (იტალია) 6:3, 6:3; **ალბერტ კოსტა** (15, ესპანეთი) — ფელიქს მანტია (ესპანეთი) 6:3, 5:7, 6:4; **ალბერტო მარტინი** (ესპანეთი) — ოლივიე როშუ (ბელგია) 7:5, 5:7, 6:4; **სედრიკ პიოლინი** (საფრანგეთი) — ხუან იგნასიო ჩელა (არგენტინა) 7:6 (7:4), 6:2; **დავიდ სანჩესი** (ესპანეთი) — ზელკო კრაიანი (ხორვატია) 6:2, 7:5; **ფრანკო სკილარი** (არგენტინა) — არნო კლემანი (საფრანგეთი) 6:4, 6:4

თბილისისა არ იყოს, ბარსელონაშიც ცივი და უემური ამინდი იდგა და იმ დროს, როცა ჩვენიანი ირაკლი ლაბაძე არმენოგაუჩო დავიდ ნალბანდიანთან მარცხდებოდა, მსოფლიოს მეპირველე ლეიტონ ჰიუიტი სეზონში თავის პირველ სათიხნარე შეხვედრას იგებდა.

ეშტორილის ტურნირის ამასწინანდელ გამარჯვებულს ჩვენიანი ორსავე სეტში ბოლომდე ერკინა, მაგრამ ამჟამად ალმავლობის კორტზე მდგარმა ნალბანდიანმა ლაბაძეს გადამწყვეტი გეიმები გაუტეხა, საქმე უმესამსეტოდ მოაგვარა და მოდევნო შეხვედრას... აბა, თუ გამოიცნობთ? — დიახ, სწორედ ლეიტონ ჰიუიტის წინააღმდეგ გამართავს.

თავად ჰიუიტი კი იმ დღეს 19 წლის კადნიერ კატალონიელ მარკ ლოპესს ეძავებოდა. მატჩმა საათსა და 49 წუთს გასტანა და საიმისოდ, რათა უსახელო მეტოქისთვის თავისი უპირატესობა დაემტკიცებინა, ავსტრალიელს კაი ძალი გარჯა დაადგა. მრისხანე, მაგრამ თიხაზე ჯერაც „თიხის ფეხებით" მდგარ მოპაექრეს ლოპესმა თავიდანვე შეუპოვარი დაგა-დუგი შესთავაზა და იმდენი ქნა, საქმე ტაიბრეიკამდეც მიაყვანინა. იქ კი 6:2 დაწინაურდა და, ცოტაც რომ გაეძლო, ჩოგანი ევებ რამისთვის გამოეკრა კიდეც.

მაგრამ აქეთ მისმა გამოუცდელობამ იჩინა თავი, იქით კიდევ — ჰიუიტის მტაცებლურმა ბუნებამ. ავსტრალიელმა მიჯრით 6 ბურთი ჩააგდო, ტაიბრეიკი 8:6 მოიგო და... მეორე სეტის მითვლა მისთვის უკვე იოლი საქმე გამოდგა.

ჯერ კიდევ მაგრად ჩიქორთულად და ოკრობოკროდ ვთამაშობ, დაუჩივლია ნამატჩევს ჰიუიტს, მაგრამ ბევრს ვვარჯიშობ და იმედია, მერე და მერე უკეთესი იქნებაო.

თუკი ჰიუიტს მართლაც აქვს შანსი, თავის თამაშს მეტი დამაჯერებლობა შესძინოს, მის მომდევნოდ განთესილ ევგენი კაფელნიკოვს უკვე აღარაფრის შანსი აღარა აქვს. რუსი, ვისაც უკვე სამი წელია, ბარსელონის თიხნარიდან პირველსავე წრიდან აიმასქნებენ, იტალიელმა სტეფანო გალვანიმ დაჩოგნა. წინა კვირაში მონტე კარლოს ტურნირიდან ასევე პირველ წრეში ჩაფლავებულმა სოჭელმა ამჯერადაც ისე უჯიგროდ და ხუსტად ითამაშა, რომ შეუდარებლად უსახელო მეტოქეს სულ რაღაც 79 წუთში შემოემარცხა.

კაფელნიკოვის გზას გაუყვა მეოთხე ნომრად განთესილი სებასტიან გროჟანიც. ფრანგი სლოვაკმა დომინიკ ჰრბატიმ გვემა, იმ ჰრბატიმ, რომელსაც გროჟანმა მონტეკარლოურ მეოთხედფინალში აჯობა. ბარსელონაში ფრანგს უკვე ოთხჯერ უთამაშია და აქამდე ერთი თამაში რაა, ისიც არ მოუგია.

ამათგან განსხვავებით წარმატებით ითამაშეს დანარჩენმა განთესილებმა, მათ შორის შარშანდელმა ჩემპიონმა ხუან კარლოს ფერერომაც (3), ვინაც ტრიბუნაზე არგენტინელი ხოსე აკასუსო აანაცვლა.

მართლაც აღარ ხუმრობს და კორტსა და ჩოგანს შუა ჩვეულ ბომბა ფორმას იბრუნებს კარლოს მოია (12). სამი სეტი და სამი მატჩბურთი დასჭირდა ეკვადორელ ნიკოლას ლაპენტის (9), რათა ესპანელი დიდაკ პერესის წინააღმდეგობა გაეტეხა. ეშხიან მაროკოელ იუნეს ელ აინაუის (7) გარჯა აგუსტინ კალერის დაშავებულმა მუხლმაც გაუიოლა. კარგი რამ სანახავი იყო ბარსელონის ოდინდელ გამარჯვებულთა, კოსტასა (15) და მანტიას ბულრაობაც, რაიც პირველის გამარჯვებით დასრულდა.

ერთი ეგ იყო, მხოლოდ გილერმო კანასის (5) ქომაგებს თუ გაუხარდათ მისგან ორგზის მეროლანგაროსე სერხი ბრუგერას დაქიშმაჩება. არადა, მათი შარშანდელი იქაური შეხლა — ეგებ ვინმეს არ გახსოვდეთ და — ბებრის ხეირით დასრულებულა.

| ჰიუსტონი. თიხნარი საპრიზო 400 ათასი $ |
|---|

**მეორე წრე**

**ანდრე აგასი** (2, აშშ) — ჰიუნგ-ტაიკ ლი (სამხრეთ კორეა) 6:4, 7:5; **უეინ ართურსი** (ავსტრალია) — ტომი ჰაასი (1, გერმანია) 3:6, 6:3, 7:6 (7:4); **კრისტიან პლესი** (დანია) — ნოამ ოკუნი (ისრაელი) 7:6 (7:5), 4:6, 7:5; **გილერმო კორია** (არგენტინა) — ფლავიუ სარეტა (ბრაზილია) 3:6, 7:6 (7:3), 6:0

ავსტრალიელმა უეინ ართურსმა ტურნირზე პირველ ნომრად განთესილ ტომი ჰაასს 22 ეისი გადაუჭირა, 8 ბრეიკპოინტიდან მხოლოდ ერთი ჩაავლებინა და გადამწყვეტ ტაიბრეიკზე, როცა 1:4 აგებდა, მიჯრით 6 ბურთიც აახლა. მატჩის ბედიც ამან გადაწყვიტა.

უმძლავრესი ჩაწოდება აქვს და საჭირო ქულებს იგებსო, ასე შეაფასა მისი თამაში ძლეულმა ჰაასმა, ვინაც — თუ გახსოვთ — წინა კვირაში მონტე კარლოს ტურნირზე მეოთხედფინალამდე გააღწია.

სხვაფრივ — ანდრე აგასიმ ვინმე სამხრეთკორეელ ჰიუნგ-ტაიკ ლის მოუგო. საპირველწრეო შეხვედრასთან შედარებით, რომელშიც მან რუსი იუჟნის ძლევას სამი სეტი მოანდომა, არმენოამერიკელმა გაცილებით უმჯობესად ითამაშა და ბოგანო მეტოქეს ენერგიისა და ჯიგრის მინიმალური დანახარჯებით — ერთი გატეხილი გეიმი პირველ სეტში, ერთიც მეორეში — ასიამოვნა.

დღიდან დღემდე უკეთესად ვთამაშობ, ამბობდა მერე, რიტმიც ნაპოვნი მაქვს და საერთოდაც ყველაფერი კარგად არისო.

დასასრულ ერთი იმასაც შეგახსენებთ, რომ აშშ-ის თიხნარ-ჩემპიონატზე ჯადო-ანდრანიკს იქ გამარჯვების ანუ 1988 წლის შემდეგ აღარ უთამაშია, სათიხო ტიტულს კი 1999 წლის როლან გაროსის მოგების მერე დაეძებს.

**ლევან ძილაურაძე**



# ო, რამდენს იტევს სიყვარული პატარა ორმო

**მსოფლიოს** ორ უგანთქმულეს მეგოლფე ქალს ერთმანეთი ჰყვარებიათ. 27 წლის ავსტრალიელი კერი უები თავისი ოდინდელი მეტოქის, 32 წლის ამერიკელი კელი რობინსის ბარაქიან ქალურ ღირსებებს მას შემდეგ მიტანებია, რაც რომ მეგობარ კაცთან, ტოდ ჰალერთან განშორება მოუხდა. უსიყვარულო და უალერსო კაეშანს კერიმ დიდხანს ვერ გაუძლო და მისმა ამბოხებულმა სხეულმა ნუგეში იმ ადამიანთან მხურვალე შეყრაში ჰპოვა, ვისაც ადრე ყვანჯით უყრიდა ბურთებს.

ქალ მეყვანჯეთა კლასიფიკაციაში ამჟამად მეორე საფეხურზე მდგომ კერის ამაგდარი კარიერის განმავლობაში 5 უბობოლესი ტურნირი მოუგია და ზედაც 7 მილიონი დოლარი დაურთავს. თავის პირად ცხოვრებას ბოლო დრომდე თვალის ჩინივით კი უფრთხილდებოდა, მაგრამ გოლფზე მწერალმა ჩარლზ ჰეპელმა მაინც მოახერხა შეეღწია იქ, სადაც აქამდე მხოლოდ ტოდ ჰალერი და კელი რობინსი აღწევდნენ. ბიოგრაფიაში, რომელსაც უბრალოდ „კერი უები" ჰქვია, ჰეპელი აცხადებს, რომ „უკანასკნელი 4 წლის განმავლობაში კერის მუდმივი პარტნიორი კელი რობინსი იყო" და იქვე დასძენს, რომ პარტნიორობაში თანამესპარინგეობას კი არ გულისხმობს, არამედ იმას, რასაც თანამესექსეობა ეწოდება...

გოლფის თამაში კერიმ 8 წლისამ ასაკში დაიწყო და ავსტრალიის სპორტის ისტორიაში ერთ ყველაზე წარმატებულ მდედრად მიიჩნევა. 1994 წლიდან ანუ მას შემდეგ, რაც პროფესიონალი მეგოლფე შეიქნა, იგი ნიადაგ საუკეთესო ხუთეულშია და ამბობენ, რომ იქ კიდევ დიდი ხნის განმავლობაში დაჰყოფს.

რაც შეეხება კელის, თავის მხრივ იგიც ამერიკელ სპორტსმენ ქალთა შორის ერთი უწარჩინებულესი ვინმე გახლავთ და სხვა თუ არაფერი, კარიერის განმავლობაში 4 მილიონი დოლარი მოუხვეჭია.

„კერი უების" ოფიციალური პრეზენტაცია ამ დღეებში უნდა შედგეს და, როგორც საქმის მცოდნე ხალხი ვარაუდობს, მსოფლიო ლესბოსობა ამ ამბავს დიდი ქრიამულით შეეგებება.

ფუი, ეშმაკს...



კერი უები



კელი რობინსი

# სქესშეუხლელნი
## შავდური და თეთრძმური ჩაიშალა



**ვინუს და სერენა უილიამსებს** პალმ ბიჩის მხურვალე სანაპიროზე სირბილის გარდა მალე იქაურ სასამართლოში სირბილიც მოუწევთ. როგორც მავანი იქაური კომპანიის „ვუმინზ სპორტს ზოუნის" ადვოკატი ები კაპლანი იუწყება, მისმა ბოსებმა მჩოგნე შავდებსა და მათ სათნო მამა რიჩარდს კონტრაქტის დარღვევის გამო უჩივლეს.

ამ კონტრაქტის თანახმად, შავდებს თითქოს საჩვენებელი მატჩი უნდა გაემართათ ჯონ და პატრიკ მაკინროების წინააღმდეგ. მატჩის შემოსავალი დაახლოებით 45 მილიონი დოლარი უნდა ყოფილიყო და ხსენებული კომპანიაც, რომელიც ჯერ მხოლოდ ქაღალდზე არსებობს და უსახსრობის გამო ჯერ-ჯერობით ვერ ასაქმიანებულა, სწორედ ამ ფულიდან მისი წილი თანხის იმედზე ყოფილა. ერთი სიტყვით, გოგონებს პირობის შეუსრულებლობა და მატჩის ჩაშლა ბრალდებათ. ები კაპლანის განცხადებით, ხელი კონტრაქტზე სწორედ მამა რიჩარდს მოუწერია.

შავდათა ადვოკატი კევინ დევისი ამ ბრალდებას, ცხადია, უსაფუძვლოს უწოდებს და ამბობს, რომ გოგონები არავის არაფერზე დათანხმებიან. შავი და თეთრი აბანოში გამოჩნდებაო, დასძენს დევისი.

ისე კი, მატჩს „სქესთა შეხლა II" უნდა რქმეოდა, იმ ლეგენდარული „სქესთა შეხლის" ანალოგიით, 1973 წელს რომ შედგა და რომელშიც ბილი ჯინ კინგმა საჩვენებლად ბობი რიგზი დაამარცხა.

## სროლა



ბაჩანა ათთუაშვილის ფოტო

# სალუქვაძემ მსოფლიო თასს დაუმიზნა და ათენსაც გაარტყა

**ახლა** ჩინეთში ის დროა, ტყვიის სროლისთვის კი არ იჭერენ, პირიქით, ქულებს უწერენ. ეს შანხაიში ხდება, სადაც ტყვიის მსროლელთა მსოფლიო თასის გათამაშება მიმდინარეობს. აქ შეყრილა ყველა უძლიერესი მსროლელი და აქ არის ჩვენი ნინო სალუქვაძეც, რომელმაც ერთ დისციპლინაში უკვე მოიგო მსოფლიო თასი და ამასთან ათენის ოლიმპიადის ლიცენზიაც მოიპოვა.

მსოფლიოსა და ევროპის ქართველმა ჩემპიონმა პნევმატური პისტოლეტით ათმეტრიან დისტანციაზე იმარჯვა. ნინომ ჯერ ძირითად კარჯიშში გამოიღო ხელი, როცა ერთობ სოლიდური, 381 ქულა დააგროვა. ქულათა ასეთმა მარაგმა, ცხადია, ფინალში სროლის უფლება მისცა და მაჯა არც იქ აჰ კანკალებია: თავის მონაგარს 102 ქულა დაუმატა. მთლიანობაში სალუქვაძეს 483 ქულა დაუგროვდა, რითაც კონკურენტებსაც აჯობა და დისციპლინაც მოიგო.

დღეს სალუქვაძეს 25-მეტრიან დისტანციაზეც შეუძლია საუკეთესო გახდეს, ოღონდ ამ ჯერზე პნევმატური პისტოლეტის სპორტულზე გადაცვლა მოუწევს. თუ ნინომ დღესაც შეძლო თასის და ოლიმპიური ლიცენზიის მოგება, მაშინ მეორე ლიცენზიას ქუთაისელ ნინო უჩაძეს დაუთმობს.

**ბაჩო სვანიძე**

## ველორბოლა

# ულრიხს მსუბუქი ლოდი ჩამოხსნეს



იან ულრიხი

**ველოსპორტის** სამყაროში შემწუხარებლური გამოძიებები გრძელდება. უსახელო იტალიელ მრბოლთა გამართლების შემდეგ ერთ ისეთ ველომრბოლს დართეს რკინის მხედარზე ჯდომის ნება, ურომლისობაც მეტისმეტად დაეტყობოდა ყოველ წლევანდელ ველოტურს და მათ შორის „ჯირო დ იტალიას“, რომელიც ერთ თვეში უნდა დაიწყოს. იგულისხმება იან ულრიხი, რომელიც შარშანდელ „ჯიროზე“ მომხდარი სადოპინგო სკანდალის მონაწილე გახლდათ. ამასაც სწამებდნენ არალეგალური პრეპარატების მოხმარებას, რომელიც პოლიციამ მრბოლებზე ჩატარებული რეიდის დროს ამოიღო, მაგრამ პრეპარატების ნამდვილ დოპინგად ცნობის საქმე შეფერხდა და მოკლედ, გუშინწინ ველოსპორტის საერთაშორისო ფედერაციამ თავის გერმანულ ფილიალს უთხრა, ულრიხი და მისი (ესე იგი, „დოიჩე ტელეკომის“ გუნდის) ექიმი, ლოთარ ჰაინრიხი უდანაშაულოდ ვცანითო. განცხადება ფედერაციის ანტისადოპინგო კომისიის უფროსმა, ლეონ შატენბერგმა გააკეთა.

კომენტარი გააკეთა აგრეთვე ოლაფ ლუდვიგმა, ვინც ადრე დიდი ველომრბოლი იყო და ახლა გერმანიის ველოსპორტის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტად მუშაობს. მისი თქმით, დადებით გადაწყვეტილებას ულრიხისთვის ბევრი არაფერი შეუცვლია.

„მან ყოველთვის იცოდა, რომ უდანაშაულო იყო, ამიტომ გულიდან ლოდის ჩამოხსნა და მისთანა საუბრები გადაჭარბებული იქნება“ — აღნიშნა „დოიჩე ტელეკომის“ სახელით მოლაპარაკე ლუდვიგმა.

ამ ამბავთან კავშირი არა აქვს, მაგრამ ანონსად მოგახსენებთ, რომ 2003 წლის „ჯირო დ იტალია“ ლეჩეში დაიწყება. ამ ცნობამ ორი-სამი პროცენტით გულზე მოუფონა ქალაქის მოსახლეობის სპორტულად განწყობილ ნაწილს, რომლის აღრენა ბოლო დღეებში სავსებით ბუნებრივია. „ლეჩემ“ „ტორინოსთან“ ფრე ითამაშა და სერია B-ში გავარდნა გაიფორმა.

საერთოდ, ნებისმიერი „ჯირო“ მილანში უნდა დამთავრდეს — ეს აქსიომაა, მაგრამ სტარტის უფლებისთვის თითქმის მუდამ დიდი ქიშპია. წლევანდელი „ჯირო“ დაიწყება ლეჩეს ველოდრომზე, რომელიც 1976 წელს ააშენეს და დღეს სავალალო მდგომარეობაშია. კითხვაზე როდის აღდგება ველოდრომი, სამხრეთიტალიელები დამაჯერებლად პასუხობენ: „ზამთარში!“. ანუ წლის ბოლოს.

**დავით გულუა**

## ძალოსნობა

# აჩუქეთ ქალებს შტანგა
## ალარ უხსენო ლოგინი და სამზარეულო, თორემ გაგიდებს მხარზე...

**ბერძენი** ძალოსანი ლეონიდას საბანისი ძირითადად ვერცხლის მედლების მოხვეჭაში ვარგობს. ატლანტის და სიდნეის ოლიმპიადებზე ვიცე-ჩემპიონი გახდა, ასევე მეორე იყო 1999 წლის ევროპის ჩემპიონატზე, რომელიც გერმანიაში გაიმართა და მხოლოდ ერთი წლით ადრე, ფინურ ლახტიში მოახერხა მსოფლიოს ჩემპიონობა. ყველა ამ შეჯიბრში საბანისს უკეთესი და ხშირად გაცილებით უკეთესი შედეგები ჰქონდა, ვიდრე გუშინ, ანთალიის ევროპირველობაზე, ხარისხით უკეთესი მედალი კი ჩამოიკიდა.

საბანისი 62-კილოგრამიანებში ეჭიდებოდა შტანგას (ატლანტის ოლიმპიადაზე 3 კილოთი მსუბუქებში იყო). აიტაცა 140, აჰკრა — 165 კილო და ჯამში 305 დაუგროვდა. ამ მოკრძალებულმა შედეგმა ჩემპიონატის დამაჯერებელი მოგებისთვის სავსებით იკმარა, ბულგარელი სტეფან გეორგიევი ბერძენს 7,5 კილოგრამით ჩამორჩა, მაგრამ აკვრის მცირე ოქრო კი წაართვა.

63 კილოგრამამდე წონის ქალებში გაილაღა უკრაინელმა ნატალია სკაკუნმა. ოქროს მედალი მისი წარმატების საკმაო, მაგრამ ერთი ნაწილია. კიდევ უნდა დავაფიქსიროთ, რომ სკაკუნმა აჰკრა 135 კილოგრამი, რაც მსოფლიოს ახალი რეკორდია და ორჭიდში 240 კილო დაუგროვდა — ესეც ევროპის რეკორდი. აკვრის მსოფლიო მიღწევა ადრეც ჯანმრთელ სკაკუნს ეკუთვნოდა, შარშან, 3 ივლისს, სალონიკში დაამყარა. მაშინ სკაკუნმა 133 კილოგრამი დაიჭირა თავზემოთ.

ლაპარაკი ზედმეტია იმაზე, რომ დანარჩენი მანდილოსნები უკრაინელს ერთობ ჩამორჩნენ.

**დავით გულუა**



ალექსანდრა კლეინოვსკა

**ვაჟები**

**62 კგ**

1. ლეონიდას საბანისი (საბერძნეთი) 305 კგ (ატაცი 140+აკვრა 165)
2. სტეფან გეორგიევი (ბულგარეთი) 297,5 (130+167,5)
3. ალექსანდრ ლიხვალდი (უკრაინა) 292,5 (132,5+160)

**ქალები**

**58 კგ**

1. ალექსანდრა კლეინოვსკა (პოლონეთი) 212,5 (90+122,5)
2. ნელი იანკოვა (ბულგარეთი) 205 (87,5+117,5)
3. ჰენრიეტა რაკი (უნგრეთი) 205 (92,5+112,5)

**63 კგ**

1. ნატალია სკაკუნი (უკრაინა) 240 (105+135)
2. ანასტასია ცაკირი (საბერძნეთი) 230 (105+125)
3. გერგანა კირილოვა (ბულგარეთი) 217,5 (97,5+120)

## ოლიმპიზმი

# პეკინს ყვითელი აუფრიალეს
## ადამიანის უფლებები ოლიმპიადის უფლებაა!

**საერთაშორისო** ოლიმპიური კომიტეტი (სოკ) პატივისცემით უყურებს პრინციპს „შიში შეიქმს სიყვარულს“. მაგალითად, ვერ მიმდინარეობდა 2004 წლის ათენის ოლიმპიადის მზადება სასურველი ტემპით — ოლიმპიზმის შეფებმა ელინებს მოკლედ განუცხადეს, წაგართმევთ ოლიმპიადასო და მაშინვე ფუცხუნი ატყდა, ბერძნებმა შრომის ტემპს უმატეს და სოკ-ის ბოლო გამსვლელი კომისიები უკვე აღარ გამოთქვამენ უკმაყოფილებას.

მაგრამ სხვა სიტუაციაა 2008 წლის ოლიმპიადის ირგვლივ, რომლის მასპინძლად მოსკოვში პეკინი დაასახელეს. ჩინელებს ადამიანის უფლებების დარღვევას უჩივიან და მეტიც, ემუქრებიან ოლიმპიადის წართმევით, თუ ქვეყანაში ნახსენები მწვავე პრობლემა არ შერბილდა მაინც. ეს კი მარტო ოლიმპიზმი კი არა, პოლიტიკაცაა.

„დარწმუნებულნი ვართ, ოლიმპიადის ჩინეთში გამართვა ამ ქვეყნის ადამიანის უფლებების სფეროში მნიშვნელოვან პროგრესს გამოიწვევს — თქვა ოლიმპიზმის უმაღლესმა პერსონამ, სოკ-ის პრეზიდენტმა ჟაკ როგმა, რომელიც ბი-ბი-სის ელაპარაკა — თუ არ დაგვაკმაყოფილებს ჩინელ ხელისუფალთა ქმედება ოლიმპიური უსაფრთხოების და ინფრასტრუქტურის, აგრეთვე ადამიანის უფლებების სფეროში, ზომებს მივიღებთ“.

როგმა ამასთან აღნიშნა, ადამიანის უფლებების დაცვის კონტროლი ჩვენი პრეროგატივა არ არის, მაგრამ გაეროსი ხომ არის და ჩვენ მასთან მუდმივად ვთანამშრომლებთო.

**დავით გულუა**



გახსოვდეთ ადამიანი! ჟაკ როგი ჩინეთს აფრთხილებს

## რაგბი



ჯონ კონოლი

# სტად ფრანსეში ენის ტრიალი დამთავრდა

**ფრანგული** რაგბის ყველაზე სახელიანი კლუბის „სტად ფრანსეს“ მეპატრონემ მაქს გუაცინიმ უცხოელი მწვრთნელი ჯონ კონოლი დაითხოვა. საზოგადოდ, ასეთ დროს კლუბის მეპატრონეც და სამუშაოდაკარგულიც უკმაყოფილო უნდა იყვნენ, მაგრამ ამ საქმის ვითარებიდან გამომდინარე, ყველა კმაყოფილია. გაუცინის ახლა თამამად შეუძლია, გუნდი სამხრეთ აფრიკის ნაკრების ყოფილ მწვრთნელ ნიკ მალეტს ჩააბაროს, რომელიც ისეა ფრანგულ რაგბისთან შეზრდილი, რომ სამშობლოში ფრანგთა სასარგებლოდ ჯაშუშობაც დასწამეს. ჯონ კონოლი კი დიდი ხნის სურვილს აისრულებს და მშობლიურ „სვანსის“ გაწვრთნის.

კმაყოფილები არიან მორაგბეებიც, რომლებსაც დაუსრულებელი ქიშპობა ჰქონდათ დამრიგებელთან. საქმე იქამდეც მივიდა, რომ მორაგბეთა ერთი ჯგუფი მაქს გუაცინისთან მწვრთნელზე აუგის თქმასაც არ თაკილობდა, რის გამოც კონოლიმ მათ ენაჭარტალა დიაცები უწოდა. ერთი სიტყვით, პრეზიდენტ-მწვრთნელ-მორაგბეები უფრო თამაშგარე ამბებით იყვნენ დაკავებულნი, ვიდრე რაგბით. შედეგად ფრანგული რაგბის გრანდი ჯერ „ჰაინეკენის თასის“ მეოთხედფინალიდან გამოვარდა, მერე საფრანგეთის ჩემპიონატში „ბიარიცს“ დაეჩაგვრინა.

ნიკ მალეტი „სტად ფრანსეს“ ამ სეზონშივე უხელმძღვანელებს, ორწლიან კონტრაქტს კი, ალბათ, მომავალ კვირაში გააფორმებს. ჯონ კონოლი კი თავისას წავიდა და უელსურ-შოტლანდიურ ლიგაში მე-6 ადგილზე მყოფ „სვანს“ ზევით ასვლაში დაეხმარება.

**ბაჩო სვანიძე**

# მე მინდა ომი!

**სამხრეთ აფრიკის** ნაკრების ახალმა მწვრთნელმა რუდოლფ სტრაულიმ ხელები დაიკაპიწა და „ქურციკების“ მსოფლიოს თასისთვის მწყობრივ შეუდგა. სტრაულიმ გუნდის სელექციონერებს 40-45-კაციანი შემადგენლობის შეკრება დაავალა, რომელსაც ორად გაყოფს და 19 მაისს პრეტორიაში ერთმანეთში ათამაშებს. „ეს უბრალო საწვრთნელი მატჩი არ იქნება. მე ვითხოვ ომს მოედანზე“ — თქვა სტრაულიმ. ამ გამოსაცდელი მატჩის შემდეგ, რომელიც ტელევიზიითაც გადაიცემა, დასახელდება ის 24-კაციანი გუნდი, საზაფხულო ტესტ-სერიაში რომ ითამაშებს.

სტრაულისეული ნაკრების ნათლობა 8 ივნისს შედგება, როცა „ქურციკები“ პირველ ტესტს ბლუმფონტეინში უელსთან გამართავენ. იმავე უელსს მეორედ კეიპტაუნში 15 ივნისს დაუხვდებიან, საზაფხულო ტესტობანას კი 24 ივნისს დაასრულებენ სპრინგსში, როცა არგენტინელებს უმასპინძლებენ.

**ბაჩო სვანიძე**

ICE HOCKEY SWEDEN

მსოფლიოს ჩემპიონატი შვედეთი 26 აპრილი — 11 მაისი



იარომირ იაგრი



ტომი სალო

# სალო სამშობლოს არ გაუბრაზდა

## იაგრის პატრიოტული არდადეგები

**ნჰლ-ის** რეგულარული ჩემპიონატი რომ დასრულდა, იარომირ იაგრს, რომ იტყვიან, ღანა პირს არ უხსნიდა. ზაფხულში იგი პიტსბურგიდან ვაშინგტონში გადავიდა და რას იფიქრებდა, რომ გუნდი, რომელსაც ყველა ფავორიტად მიიჩნევდა, პლეი ოფში ვერ მოხვდებოდა. მას ხომ მინიმუმ კონფერენციის ფინალში გასვლას უწინასწარმეტყველებდნენ. გააწბილა „კაპიტალსმა" ქომაგები, იაგრი კი ბოლო 11 წლის განმავლობაში პირველად დატოვა პლეი ოფის მიღმა. დანაღვლიანებულმა იარომირმა მაშინვე თქვა, რომ მისთვის უაზროდ გაიწელებოდა დრო და ამდენ ხანს უქმად ყოფნას ვერ აიტანდა. და აი, გამოსავალიც მონახა, მოსაბეზრებელ არდადეგებს მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობა ამჯობინა და შვედეთში გამგზავრება გადაწყვიტა. მსოფლიოს ჩემპიონატი კი დღეს, 26 აპრილს იწყება და „სუპერჩეხი", რომელსაც წლეულს არც ნჰლ-ში გაუმართლა და არც ოლიმპიადაზე, შეეცდება, იქ მაინც არ დარჩეს ხელცარიელი: იგი ხომ სამი ჩემპიონატის გამარჯვებულია.

ჩეხების გუნდი სერიოზულად ემზადება ტიტულის დასაცავად. ნაკრების თავკაც პატრიკ აუგუსტას განკარგულებაში იაგრის გარდა კიდევ 8 ნჰლ-ელია, მათ შორის მეკარე მილან ჰნილიჩკა, მცველები — პაველ კუბინა, ფრანტიშეკ კაბერლე, ფორვარდი იან ჰრდინა, რომელიც იაგრის პარტნიორი იყო პიტსბურგში.

შვედების საუკეთესო ნჰლ-ელ ტომი სალოს კი ვერავინ დაადანაშაულებდა, მსოფლიოს ჩემპიონატისთვის თავი რომ აერიდებინა. თუ გახსოვთ, ოლიმპიადაზე მისი ერთადერთი შეცდომის გამო გუნდი უმედლოდ დარჩა (ბელარუსებთან 3:4 წააგო მეოთხედფინალში), ბედშავ მეკარეს კი სამშობლოში სასტიკად მოექცნენ. მაშინ უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი ჰოკეისტი ლამის სულ მოსწყდა შვედეთს. განა ადვილი საცქერი იყო მისთვის გაზეთში დაბეჭდილი საკუთარი ფოტოები, რომელთათვის მისი ნჰლ-ური ხელფასი და— „აი, ასეთ ფასად ყიდიან სამშობლოს" მიეწერათ. ვაი-გულშემატკივრები სალოს დისშვილებსაც ემუქრებოდნენ და ამის გამო ბავშვები სკოლაშიც კი ვერ დადიოდნენ. ყოველივე ამის შემდეგაც კი სალომ გულში წყენა არ ჩაიდო. „არასოდეს მითქვამს უარი შვედეთის ნაკრებში თამაშზე და არც ახლა ვიტყვი" — თქვა მეკარემ, რომელმაც, სხვათა შორის, 1994 წელს, ლილეჰამერის ოლიმპიადაზე, თავის ქვეყანას ოქრო მოაგებინა. სალოს ედმონტონიც პლეი ოფს მიღმა დარჩა და ხელს არაფერი უშლის იმას, რომ მასპინძელი ქვეყანა უძლიერესი მეკარით წარდგეს მსოფლიოს ჩემპიონატზე. სალოს გარდა ნაკრებში 4 ნჰლ-ელია, ამათში ცნობილი ვეტერანი ულფ დალინი და სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო ახალბედა კრისტიან ჰუსელიუსი.

თუ სალოსა და იაგრის საჩემპიონატო სტიმული გასაგებია, ასევე გასაგებია კანადელი ჯერომ იგინლას უარი. ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირმა ერთობ რთული და ემოციური სეზონის შემდეგ შვედეთში გამგზავრება არ მოისურვა, მით უმეტეს, რომ სოლტ ლეიკ სიტის ოქრო ჯიბეში უდევს. კანადის კარგად დაკომპლექტებულ ნაკრებს უმისობა ძალიანაც არ დაეტყობა. უკვე დასახელებულ მოთამაშეთა შორის რამდენიმე ცნობილი სახელია. მაგალითად, სეზონის საუკეთესო ახალბედა ბომბარდირი დანი ჰიტლი, დალასელი დერილ სიდორი და, რა თქმა უნდა, სოლტ ლეიკ სიტის ორი ჩემპიონი, ედმონტონელები ერიკ ბრიუერი და რაიან სმიტი.

ფინეთისა და აშშ-ის საუკეთესო მოთამაშენი ჯერჯერობით ლიგაში, სათასო ბატალიებში არიან დაკავებულნი და ამ ქვეყნებს ნაკრებებში ნაკლებად ცნობილნი ჰყავთ. მაგალითად, 12 დასახელებული ამერიკელისგან ვაშინგტონელი სტივ კონოვალჩუკის სახელი თუ ეუბნება რამეს ჰოკეის ქომაგთ, ფინელთაგან კი ცნობილნი ახალგაზრდა ფლორიდელები არიან — ნიკლას ჰაგმანი და ოლი იოკინენი.

რუსეთის ნაკრებში, როგორც ყოველთვის, სრული გაუგებრობაა. ჯერჯერობით მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ მათ ერთადერთი ღირებული მეკარე ნიკოლაი ხაბიბულინი არ ეყოლებათ.

NHL. სტენლის თასი. კონფერენციების მეოთხედფინალი

# ფილადელფია და ბეიტსი: ბალეტი და ბულიტი

24 აპრილი

### აღმოსავლეთი

| | |
|---|---|
| ფილადელფია | 1 |
| ოტავა | 3 |

**ოტავა 3:0 ფილადელფია 1:0 2:0 0:0**
**1:0 რედენი (20), 2:0 სალო (27), 3:0 ჰოსა (29)**

თხა თხაზე ნაკლები მგელმა შეჭამოს, ბრენტ ჯონსონს ვითომ რით ჩამოუვარდები, ჩემსავით ახალგაზრდა, უსახელო და გამოუცდელი არ იყო, ქვეყანა რომ აალაპარაკაო, ფიქრობდა, ალბათ, ოტავას მეკარე პატრიკ ლალიმი ფილადელფიელებთან მატჩის წინ. უკვე ვწერდით, რომ სენტ ლუისის გოლკიპერმა ბრენტ ჯონსონმა ზედიზედ სამი საპლეიოფო მშრალი მატჩით ლიგის ისტორიაში დაიმკვიდრა ადგილი, ლალიმს კი ოთხშაბათამდე უგოლოდ მოასპარეზე ფილადელფიასთან ზედიზედ ორი უკვე მიეთვალა და მესამედ ხელს რაღა შეუშლიდა. იგი ლიგის ისტორიაში მეხუთე მეკარე შეიქნა, რომელსაც შეუძლია ამგვარი მიღწევით იამაყოს. პირველი სამი მონრეალელი კლინტ ბენედიქტი, რეინჯერსელი ჯონ როსი და ტორონტოელი ფრენკ მაკქულია. ოღონდ ეს ადამ და ევას დროინდელი ამბავია. მათგან ყველაზე ბოლომ, მაკქულმა, ეს 1945 წელს შეძლო. მეორე მხრივ, ფილადელფიას ძირითად დროში აგე უკვე 316 წუთია (სრული 5 თამაში) ვერ გაუტანია, რაც ასევე რეკორდია, ოღონდ ანტირეკორდი. სერიის მეოთხე მატჩში ოტავამ კვლავ 3:0 მოიგო, რაც უკვე აბუჩად აგდებას ნიშნავს. თან თუ წინა ორ შეხვედრაში მეტოქე რაღაც წინააღმდეგობას მაინც უწევდა, ამჯერად ესეც ველარ შეძლო. ყველაფერი 29-ე წუთზე გაირკვა, თანაც და მასპინძლებმა სამი გოლი ისე გაიტანეს, თვიქრებდით, ვარჯიშზე კომბინაციებს ამუშავებენო. განსაკუთრებით ლამაზი მესამე შაიბა გამოდგა. შონ მაკიჩერნმა დიაგონალური პასით ხუთი მეტოქე გააბრიყვა და მარიან ჰოსას აღარც გასჭირვებია გატანა. რაც შეეხება ლალიმს, სულაც არ შეწუხებულა. მართალია, 28 მოგერიება დასჭირდა, მაგრამ მათგან ერთი-ორი თუ წარმოადგენდა რეალურ საფრთხეს.

### ტორონტო — აილენდერსი

| | |
|---|---|
| ტორონტო | 2 |
| აილენდერსი | 2 |

**აილენდერსი 4:3 ტორონტო 1:1 0:1 3:1**
**1:0 იაშინი (11), 1:1 მოგილნი (20), 1:2 კაბერლე (40), 2:2 მილერი (54), 3:2 მამრლიკი (55), 3:3 კორსონი (57), 4:3 ბეიტსი (58)**

„ბავშვობაში სულ იმაზე ვოცნებობდი, ბულიტი შემესრულებინა. განუმეორებელი გრძნობა მეუფლება, როცა ათასობით მაყურებელი გაირინდება და ერთი სული აქვს, გოლი ნახოს" — თქვა მატჩის შემდეგ მისმა გმირმა შონ ბეიტსმა. როგორც ჩანს, აილენდერსელ ახალგაზრდას ნერვული სისტემა სრულ წესრიგში აქვს. ჯერ ერთი, ჰოკეიში ბულიტი ისეთი ადვილი გამოსაყენებელი როდია, როგორც ფეხბურთში. თანაც ამ ბულიტს თამაშის ბედი უნდა გადაეწყვიტა, კარში კი ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო მეკარე კერტის ჯოზეფი იდგა. რა გვეთქმის, მასპინძელმა იდეალურად შეასრულა ბულიტი და „ტუჯოს" შაიბა მარცხენა მხარს ზემოთ შეუგდო. ეს ყველაფერი მატჩის დასრულებამდე ორი წუთით ადრე მოხდა და დარჩენილ დროში ტორონტომ თავი ველარ იხსნა. მატჩი რომ დასრულდა, გუნდის მოჩხუბრებს კვლავ უმტყუნათ ნერვებმა და ჩხუბში კინაღამ აილენდერსის მეკარე კრის ოსგუდიც ჩაითრიეს.

არ იქნება, ალექსეი იაშინზეც არ ვთქვათ. მან როგორც იქნა, გატეხა ნავსი და 1998 წლის შემდეგ პლეი ოფში პირველად გაიტანა. ალექსეი წინა სამ მატჩშიც ღირსეულად იბრძოდა და ეს წარმატება ნამდვილად დაიმსახურა. ბოლო წლებში არადა, ლიგის ყველაზე არასაპლეიოფო მოთამაშის იარლიყი მიაკერეს.

### კაროლინა — ნიუ ჯერსი

| | |
|---|---|
| კაროლინა | 3 |
| ნიუ ჯერსი | 2 |

**კაროლინა 3:2 ნიუ ჯერსი 0:0 1:1 1:0**
**0:1 ჰოლიკი (32), 1:1 ცელინა (34), 1:2 ელიაში (52), 2:2 ონილი (59), 3:2 ვასიჩეკი (69)**

ჯერჯერობით ამ სერიაში მხოლოდ მასპინძლები იგებენ, მაგრამ თუ ნიუ ჯერსი ამას თილად ახერხებს, კაროლინას გაცილებით უჭირს ქომაგების გახარება. აგერ უკვე მეორედ გადაწყდა მათი ბედი ოვერტაიმში, თუმცა რას ვერჩით, გამარჯვება გამარჯვებაა და „ქარიშხლების" სერიაში მოგების შანსებმაც მკვეთრად იმატა, ნიუჯერსელებმა კი თავიანთ თავს დააბრალონ, რომლიში რომ ვერ იხეირეს. ძირითადი დროის დასრულებამდე ორი წუთით ადრე იგებდნენ, მაგრამ ბობი ჰოლიკმა „ივაცაცა". ყოველთვის ხისტი და ზოგჯერ ბინძური თამაშით ცნობილი ჩეხი, რომელიც მთლიანობაში კარგად ატარებს სერიას, მეტოქეს ყვანჯით დაემუქრა და ჯარიმა დაიმსახურა. მასპინძლებმაც რიცხობრივი უპირატესობა გამოიყენეს და თამაში ოვერტაიმში გაგრძელდა, სადაც ნიუჯერსელმა ჯონ მედენმა აშკარა მომენტი ვერ გამოიყენა. სამაგიეროდ, იოზეფ ვასიჩეკმა იყოჩაღა — კარს უკნიდან მიწოდებული შაიბა ახალბედა ჩეხმა მარცხენა მაღალ კუთხეში მოათავსა.

### დასავლეთი

| | |
|---|---|
| სან ხოსე | 3 |
| ფინიქსი | 1 |

**ფინიქსი 1:2 სან ხოსე 0:2 1:0 0:0**
**0:1 რატიე (13), 0:2 რიჩი (15), 1:2 სუხი (30)**

აბა, პლეი ოფი ისე როგორ ჩაივლის, მაიკ რიჩმა ერთი თამაში მაინც არ მოაგებინოს თავისიანებს. ცნობილი საპლეიოფო მეომარი, რომელიც კიდევ იმითაა ცნობილი, რომ ჩამტვრეულ კბილებს არ იკეთებს და არც ვერთ წოდებულ კაპას ხმარობს, სათასო ბატალიებში ტოლს არავის უდებს. სერიის, ალბათ, გადამწყვეტ თამაშში რიჩმა სან ხოსეს ორივე გოლში შეიტანა წვლილი. ერთი თავად გაიტანა, მაიკ რატიეს კი დაეხმარა, როცა მეკარე შონ ბურკს დროზე ამოეფარა და დარტყმის მომენტი გამოაპარა. „აი, უყურეთ რიჩს და ისწავლეთ, როგორ უნდა პლეი ოფში თამაში. იგი ყოველთვის კარის მისადგომებთანაა და მეკარეს ხელს უშლის. ჩემს გუნდს სწორედ ეს შემართება აკლია" — ასე შეაფასა ფინიქსის თავკაცმა ბობ ფრენსისმა მოწინააღმდეგის ლიდერი. ორი საშინაო მარცხის შემდეგ „კოიოტებმა" ძალიან გაირთულეს საქმე. არადა, რეგულარულ ჩემპიონატში სწორედ რომ საკუთარ ყინულზე იყოჩაღეს და ამით გააღწიეს პლეი ოფში.

**სამველ ლარიბიანი**



REUTERS ფოტოქრონიკა

პლეი ოფმა თვისტომობა არ იცის: აგერ, როგორ შეჯახებიან ერთმანეთს ორი ფინელი — სანხოსელი ტეემუ სელიანე (მარცხნივ) და ფინიქსელი ოსი ვაანანენი

# ხალხი ნჰლ-ის წინააღმდეგ

**დროა**, ლიგამ იმაზე იფიქროს, როგორ დაიცვას მატჩებზე მაყურებელი, თორემ რა მოხდება ჩრდილოეთ ამერიკაში, ღმერთმა უწყის. მარტში კოლუმბუსისა და ჩიკაგოს მატჩისას დატრიალებულმა ტრაგედიამ როგორ შეაშფოთა ხალხი, გვახსოვთ. ბავშვის სიკვდილმა მაშინ [illegible] გაკეთებინათ, [illegible] ზომები მიიღეს, მაგრამ [illegible] სასამართლოში მოუწევს თავის დაცვა. ოთხშაბათს ელიზაბეტ და სტივენ პანებმა ოფიციალური საჩივარი შეიტანეს ლიგისა და ჩიკაგოს კლუბის წინააღმდეგ. იანვარში „ქორდის" თამაშზე [illegible] მოხვდა თავში. [illegible] ცნობილი ადვოკატია, ფრეს [illegible] ამაში მოიხსენიებს ტრავმის [illegible] დაკარგა თავის ბიზნესში. „ლიგა შეგნებულად ხუჭავს თვალს იმაზე რომ მაყურებლები ზიანდებიან" — [illegible] ასე რომ, ლიგას სერიოზული პრობლემა გაუჩნდა. საფიქრალია, რომ ვერავინ მოგვცემს [illegible] უზრუნველყოფას [illegible] ლიგამ კი მხოლოდ ფინიქსის არენა ახლა [illegible] ჩრდილოეთ ამერიკაში ყველგან [illegible] ბი ხელს უშლის მაყურებელს ჰოკეის ყურებას.

# სხვანაირი ჯენი ლო

მომღერალი და მსახიობი ჯენიფერ ლოპესი აღმოსავლური ბრძოლების დიდოსტატად გვესახება ჯერაც არგამოსულ ტრილერში „საკმარისია.“ სარეკლამო ფოტო, ამ კვირაში რომ გაავრცელა ფილმის უფროსობამ, არატრადიციულ ჯენი ლოს წარმოგვიდგენს და ვინძლო, არა მხოლოდ ისინი მიიზიდოს კინოდარბაზში, ვინც ამ გოგოს გავისტრიალსაა მიჩვეული.




REUTERS

# ცაში ბურთია, ბურთში კაცია, კაცში სულია

კენტის საგრაფოს თავზე გამოყიდულა მსოფლიოს უდიდესი საჰაერო ბურთი, რომლის მესაჭეც ადრი შპირენბურგი გახლავთ. ამ ჰოლანდიელს გადაუწყვეტია ბრიტანეთიდან თავის სამშობლომდე სარეკორდო 10 საათში მიფრენილიყო და მოუხერხებია კიდეც. თავად ბურთი კი ასევე სარეკორდო მოცულობის, 550 ათასი კუბური ფუტის ტევადობისაა.

# კეთილი ძია

ჰოუმსტადში, ფლორიდაში რომაა, ბავშვთა ახალი კლინიკა გახსნილა, სადაც უმძიმეს ავადმყოფებს, კეთროვანებსა და შიდსიანებს მკურნალობენ. კლინიკის იერი სპორტული, კერძოდ კი, მოტო და ავტოსპორტის სიმბოლიკით ყოფილა გაწყობილი. ავადმყოფი ბავშვების სანახავად და მხარდასაჭერად აქ მისულა ნასკარის ცნობილი პილოტი ჯეფ გორდონი, რომელიც ხუთი წლის პაციენტს, რაიან ვინტერსს დამეგობრებია.



# რომც ჩაგხადონ, არ გაუშვა!

რა არ მოხდება ჩვენში უცნობი ავსტრალიური ბურთაობის ოვალურ მინდორზე. ეს ბურთაობა სწორედ იმგვარი ვიემაგი თამაშია, რომ იქ ყველაფერი უნდა მოხდეს. ვგებ ჩაგ ხადონ კიდეც, მაგრამ ბურთს ხელი არ უნდა გაუშვა.




REUTERS

# კორეა მზადაა

რაღა დარჩა და ერთი თვე. მუნ დონგ ჰუ, მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე სამხრეთკორეელთა მხრიდან, მატჩებზე დასასწრები ბილეთების ნიმუშებს გვიჩვენებს. სეულის ცენტრში კი „სეულ ბანკის“ უზარმაზარ სადარბაზოში უშველებელი ბურთი დაუდგამთ. ბურთის დიამეტრი 4,5 მეტრია, გარშემოწერილობა 14,5 მეტრი, წონა კი 140 კილოგრამი.




სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქცია: გია აზალაძე, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბეხელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი – 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge